პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოსა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

გაზეთი გამოდის 1920 წლის 3 ივნისიდან

1975 შაბათი 8 თებერვალი № 33 (16159) ფასი 2 კაპ. 1975

## ინდოეთის კომუნისტური პარტიის ეროვნული საბჭოს თავმჯდომარეს ამხანაგ შ. ა. დანგეს ინდოეთის კომუნისტური პარტიის ეროვნული საბჭოს გენერალურ მდივანს ამხანაგ ს. რაჯეშვარა რაოს

გულითადად გილოცავთ, ძვირფასო ამხანაგებო, ინდოეთის კომუნისტური პარტიის უმაღლეს ხელმძღვანელ პოსტზე ხელახლა არჩევას.

ვუსურვებ ინდოეთის კომპარტიას და გისურვებთ პირადად თქვენ ახალ წარმატებებს მშრომელთა საარსებო ინტერესებისათვის, იმპერიალიზმისა და რეაქციის წინააღმდეგ, მშვიდობისათვის, დემოკრატიისა და სოციალური პროგრესისათვის ბრძოლაში.

**ლ. ბრეჟნევი,**

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივანი.

# სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოში

1975 წლის 7 თებერვალს გაიმართა სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს სხდომა, რომელზეც განიხილეს სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის განვითარების 1974 წლის სახელმწიფო გეგმის შესრულების შედეგები.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის პლენუმების გადაწყვეტილებების და პარტიის ეკონომიური პოლიტიკის საკითხებზე სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის ამხ. ლ. ი. ბრეჟნევის გამოსვლებში დასახული ამოცანების შესრულებისათვის გაწეული მუშაობის შედეგად და ქვეყანაში ფართოდ გაშლილი სოციალისტური შეჯიბრების საფუძველზე 1974 წელს მიღწეულია ახალი წარმატებანი ეკონომიკის, მეცნიერებისა და კულტურის განვითარებისა და საბჭოთა ხალხის კეთილდღეობის გაუმჯობესების შესახებ სკკპ XXIV ყრილობის გადაწყვეტილებათა განხორციელებაში.

გასულ წელს სამრეწველო წარმოების მატებამ შეადგინა 8 პროცენტი გეგმით გათვალისწინებული 6,8 პროცენტის ნაცვლად. შრომის ნაყოფიერების ზრდამ მრეწველობაში შეადგინა 6.5 პროცენტი გეგმით გათვალისწინებული 6 პროცენტის ნაცვლად. ამოქმედდა ასობით დიდი საწარმო, ბევრი ახალი საწარმოო კომპლექსი.

მთელ რიგ რაიონებში ამინდის არახელსაყრელი პირობების მიუხედავად, სოფლის მეურნეობის პროდუქციის წარმოების მოცულობამ თითქმის 5 პროცენტით გადააჭარბა ხუთწლედის წინა წლებში მიღწეულ საშუალო წლიურ წარმოებას.

სამრეწველო და სასოფლო-სამეურნეო წარმოების შემდგომი ზრდის შედეგად მოხმარებისა და დაგროვებისათვის გამოყენებული ეროვნული შემოსავალი 1973 წელთან შედარებით 5 პროცენტით გაიზარდა. რეალური შემოსავალი ერთ სულ მოსახლეზე გაიზარდა 4,2 პროცენტით. 1974 წელს აშენებულია თითქმის 110 მილიონი კვადრატული მეტრი საერთო ფართობის საცხოვრებელი სახლები.

ამავე დროს სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს სხდომაზე აღინიშნა 1974 წლის გეგმის შესრულებაში არსებული ნაკლოვანებანი. აღინიშნა, რომ ცალკეულმა სამინისტროებმა და მოკავშირე რესპუბლიკებმა რამდენადმე ვერ შეასრულეს სახალხო მეურნეობისათვის მთელ რიგ მნიშვნელოვან სახეობათა პროდუქციის მიწოდების გეგმა. ზოგიერთ დარგში მთლიანად არ შესრულებულა საწარმოო სიმძლავრეთა ამოქმედებისა და ათვისების დავალებანი. მთელმა რიგმა სამინისტროებმა დაუშვეს სერიოზული ჩამორჩენა წარმოებაში მეცნიერებისა და ტექნიკის მიღწევათა დანერგვის დავალებათა შესრულებაში. სსრ კავშირის სამინისტროები, უწყებანი და მოკავშირე რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოები ჯერ კიდევ საკმარისად არ მუშაობენ პროდუქციის ხარისხის გაუმჯობესების საკითხებზე.

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭომ დაავალა სსრ კავშირის მინისტრებს, უწყებათა ხელმძღვანელებსა და მოკავშირე რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოებს კოლეგიებისა და მინისტრთა საბჭოების სხდომებზე განიხილონ 1974 წლის გეგმის შესრულების შედეგები, ამასთან გაითვალისწინონ სხდომაზე გამოთქმული კრიტიკული შენიშვნები. წამოყენებულია წინადადება, რომ იხელმძღვანელონ სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1974 წლის დეკემბრის პლენუმის გადაწყვეტილებებით, დებულებებითა და დასკვნებით, რომლებსაც შეიცავს ამხ. ლ. ი. ბრეჟნევის მიერ პლენუმზე წარმოთქმული სიტყვა, პარტიისადმი, საბჭოთა ხალხისადმი სკკპ ცენტრალური კომიტეტის მიმართვა, და შეიმუშაონ და განახორციელონ სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის განვითარების 1975 წლის — მეცხრე ხუთწლედის დამამთავრებელი წლის სახელმწიფო გეგმის დავალებების, აგრეთვე საწარმოთა და ორგანიზაციათა კოლექტივების მიერ მიღებული შემხვედრი გეგმების მთლიანად და მნიშვნელოვანი გადაჭარბებით შესრულების უზრუნველყოფის ღონისძიებანი.

განსაკუთრებული ყურადღება დაეთმო იმას, რომ საჭიროა განხორციელდეს ღონისძიებანი, რათა კიდევ უფრო ამაღლდეს საზოგადოებრივი წარმოების ეფექტიანობა, მისი ხარისხობრივი მაჩვენებლები, დაჩქარდეს წარმოებაში მეცნიერებისა და ტექნიკის უახლეს მიღწევათა დანერგვა, აქტიურად გავრცელდეს მოწინავე გამოცდილება, გაუმჯობესდეს საწარმოთა და მშენებლობათა ხელმძღვანელობა, ამაღლდეს დისციპლინა და პასუხისმგებლობა მართვის ყველა რგოლში. სსრ კავშირის სამინისტროებს, უწყებებს და მოკავშირე რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოებს წინადადება მიეცათ აგრეთვე გააძლიერონ ყურადღება კაპიტალური მშენებლობის გაუმჯობესების საკითხებისადმი, განსაკუთრებული კონტროლი დაუწესონ ასამუშავებელი ობიექტების ამოქმედებისა და ახლად ამოქმედებულ სიმძლავრეთა ათვისების, მოქმედ საწარმოთა რეკონსტრუქციის დადგენილ დავალებათა შესრულებას.

1975 წელს მინდვრის საგაზაფხულო სამუშაოთა დროულად მომზადებისა და ჩატარების მიზნით მოკავშირე რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოებს, სსრ კავშირის სოფლის მეურნეობის სამინისტროს, სსრ კავშირის მელიორაციისა და წყალთა მეურნეობის სამინისტროს და სასოფლტექნიკას წინადადება მიეცათ განახორციელონ ღონისძიებანი, რათა კოლმეურნეობები და საბჭოთა მეურნეობები უზრუნველყონ კარგი ხარისხის თესლით, დააჩქარონ სასოფლო-სამეურნეო ტექნიკის რემონტი, დროულად შეიტანონ მეურნეობებში საწვავი, მინერალური სასუქები, ტრაქტორების, სასოფლო-სამეურნეო მანქანებისა და ავტომობილების სათადარიგო ნაწილები, აგრეთვე განახორციელონ სხვა საჭირო ღონისძიებანი.

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს მიერ მიღებულ გადაწყვეტილებაში მითითებანი მიეცათ სსრ კავშირის სამინისტროებს, უწყებებსა და მოკავშირე რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოებს მუდმივი ყურადღება დაუთმონ სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის განვითარების 1975 წლის სახელმწიფო გეგმის ვადამდე შესრულებისა და მეცხრე ხუთწლედის წარმატებით დამთავრებისათვის სოციალისტური შეჯიბრების საკითხებს.

სხდომაზე სიტყვა წარმოთქვა სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარემ ამხ. ა. ნ. კოსიგინმა.

### „სალუტ-4"

# დედამიწის ფოტოგრაფირება

ფრენის მართვის ცენტრი, 7 თებერვალი. (საქტასი). „სალუტ-4" ორბიტული სამეცნიერო სადგურის ფრენა დასახული პროგრამით მიმდინარეობს.

5 თებერვალს დღის პირველ ნახევარში კოსმონავტებმა ალექსი გუბარევმა და გიორგი გრეჩკომ შეამოწმეს და პროფილაქტიკური თვალსაზრისით დაათვალიერეს სადგურის სისტემები, შეასრულეს ტექნიკური და სამედიცინო ექსპერიმენტები. ნაშუადღევს ეკიპაჟი შეუდგა დედამიწის ზედაპირის ცალკეული რაიონების ფოტოგრაფირებას.

6 თებერვალს ეს ექსპერიმენტები გრძელდებოდა. კოსმონავტებმა სურათები გადაუღეს ჩვენი ქვეყნის სამხრეთ ევროპულ ნაწილს, შუა აზიის, ყაზახეთისა და შორეული აღმოსავლეთის რაიონებს.

სურათებს ერთდროულად იღებდნენ რამდენიმე აპარატით შავ-თეთრ და ფერად ფირზე და იყენებდნენ სხვადასხვა შუქფილტრებს. ამ კვლევის შედეგებს გამოიყენებენ ბუნებრივი გარემოს შესწავლისა და სახალხო მეურნეობის ინტერესებისათვის ცალკეული პრაქტიკული ამოცანების გადასაწყვეტად.

ტელემეტრიული ინფორმაციის მონაცემებითა და კოსმონავტთა მოხსენებების მიხედვით, სადგურის საბორტო სისტემები და სამეცნიერო აპარატურა ნორმალურად მუშაობს. სადგურის ნაკვეთურებში მიკროკლიმატის პარამეტრებია: ტემპერატურა — 22 გრადუსი ცელსიუსით, წნევა — ვერცხლისწყლის სვეტის 810 მილიმეტრი, ჰაერის შედარებითი ტენიანობა — 11 პროცენტი.

ამხანაგები გუბარევი და გრეჩკო თავს კარგად გრძნობენ. სადგური „სალუტ-4" ფრენას განაგრძობს.

# ავიატორები პირველ ადგილზე

საქართველოს სამოქალაქო ავიაციის სამმართველომ მიიღო სასიხარულო ცნობა: სსრ კავშირის სამოქალაქო ავიაციის სამინისტრომ და ავიამუშაკთა პროფკავშირის ცენტრალურმა კომიტეტმა მას პირველი ადგილი მიანიჭეს სრულიად საკავშირო სოციალისტურ შეჯიბრებაში გასული წლის მეოთხე კვარტალის შედეგების მიხედვით. სამმართველოს კოლექტივს გადაეცემა გარდამავალი წითელი დროშა და პირველი ფულადი პრემია.

ქართველმა მფრინავებმა წარმატებით დაამთავრეს გასული წელი და ხუთწლედის დამამთავრებელ წელსაც კარგი სტარტი აიღეს. იანვრის დავალება ყველა მაჩვენებლის მიხედვით ვადამდე შესრულდა. (საქინფორმი).

---

ვინ როგორ ასრულებს გეგმას, ვალდებულებას!

ხუთწლედის 1975 დამამთავრებელი

# ყოველი დღე, საათი — დამკვრელური!

## მეტი, უკეთესი ხარისხის პროდუქცია — ნაკლები დანახარჯებით!

# ვადამდე!

### შეასრულეს იანვრის გეგმები

### თბილისი

რძის კომბინატის (დირექტორი ვ. მოლოკვლიძე) კოლექტივმა ახალი წლის პირველი დღიდანვე სოციალისტური შეჯიბრება გაჩაღა დევიზით — დედაქალაქის მოსახლეობა შეუფერხებლად მოვამარაგოთ რძითა და რძის პროდუქტებით. თავდადებულმა, მონდომებულმა შრომამ კარგი შედეგი გამოიღო. პროდუქციის რეალიზაციის იანვრის დავალება 102 პროცენტით შესრულდა. საერთო პროდუქციის გამოშვების დავალებას 37 ათასი მანეთით გადააჭარბეს.

იანვარში მომხმარებელმა გეგმის გადამეტებით მიიღო 105 ტონა რძე და რძის პროდუქტები. ახლა კომბინატის ნაწარმი ქალაქის 600-ზე მეტ სავაჭროში იყიდება.

**ზ. ჯამასპიშვილი.**

### ბათუმი

ბათუმელი მეზღვაურები შესანიშნავ შრომით წარმატებებს აღწევენ. მათ თევზჭერის იანვრის გეგმა 165 პროცენტით შეასრულეს.

წარმატებები განაპირობა თევზჭერის ფლოტის სამმართველოს მცირე გემების — სეინერების ეკიპაჟების დაძაბულმა შრომამ და შორეული ატლანტიკის ოკეანეში ტრაულერ „წყალტუბოს" ხავერდოვანმა რეწვამ. განსაკუთრებით აღსანიშნავია, რომ სამი სეინერის ბრიგადებმა შეასრულეს მთელი პირველი კვარტალის რეწვის გეგმა.

**მ. გორგილაძე.**

### რუსთავი

მიუხედავად იმისა, რომ ნედლეულის მიწოდებაში შეფერხების გამო რთული პირობები შეიქმნა, ქიმიური კომბინატის კოლექტივმა იანვარი (დირექტორი გ. გოგოლაძე, პარტიული კომიტეტის მდივანი ლ. ჩარკვიანი) მაინც კარგი მაჩვენებლებით დაამთავრა, სასაქონლო პროდუქციის გამოშვების თვიური გეგმა შესრულებულია 101 პროცენტით, რეალიზაციისა — 100,3 პროცენტით.

გეგმის გადამეტებით გამოშვებულია 1.200 ტონა ამიაკი, 3.400 ტონა მინერალური სასუქი, 62 ტონა კაპროლაქტამი და სხვ.

ამ დღეებში სასიხარულო ამბავი შეიტყვეს ქიმიკოსებმა. შარშან, მეოთხე კვარტალის მაჩვენებლების მიხედვით მათ გაიმარჯვეს საკავშირო სოციალისტურ შეჯიბრებაში და მესამე საპრიზო ადგილი დაისაკუთრეს.

**ზ. მერკვილაძე.**

### ხაშური

წარმატებით შრომობს სურამის მინის ტარის ქარხნის (დირექტორი ა. ზაზიკაშვილი, პარტბიუროს მდივანი ე. ახვლედიანი) შრომითი კოლექტივი.

ქარხანამ იანვარში გეგმის გადამეტებით 684 ათასი ცალი ნახევარლიტრიანი ბოთლი გამოუშვა და დავალება 105,9 პროცენტით შეასრულა. გადალახულია რეალიზაციის გეგმაც.

აღსანიშნავია, რომ ქარხნის არსებობიდან წლეულს პირველად ერთ დღეში ჩამოვიდა ყველაზე ბევრი — 505.200 ცალი ნახევარლიტრიანი ბოთლი.

სოციალისტური შეჯიბრების ავანგარდში დგანან კომუნისტური შრომის სააბაზანო-სამანქანო საამქროს (უფროსი თ. ჩიტაძე) ის ცვლები, რომლებსაც სათავეში ო. მაღრაძე, ვ. სიმონოვი და ვ. კახელიძე უდგანან.

**რ. სუხიაშვილი,**

ხაშურის რაიონულ გაზეთ „გამარჯვების გზის" რედაქტორის მოადგილე.

### გეგეჭკორი

რაიონის კოლმეურნეობები და საბჭოთა მეურნეობები ყოველწლიურად ზრდიან ტუნგის დამზადებას. გასულ შემოდგომასა და ამ წლის იანვარში რაიონში უნდა დაემზადებინათ 240 ტონა ნაყოფი, ფაქტიურად სახელმწიფოს ჩაბარდა 248 ტონა. კარგ მაჩვენებლებს მიაღწიეს სოფელ გაჭედილის კოლმეურნეობა „წინსვლამ", სალხინოს, დიდი ჭყონის, თამაკონის, კურზუს და კიწიის კოლმეურნეობებმა, დიდი ჭყონის საბჭოთა მეურნეობამ.

### გაზაფხული გვაჩქარებს



# რემონტი ჩქარი ტემპით...

ბევრგან მექანიზატორები წარმატებით არემონტებენ ტექნიკას. ამ მხრივ მოწინავეთა რიგებში არიან სიღნაღის რაიონის სოფელ ტიბაანის კოლმეურნეობის მექანიზატორები. ისინი დროზე შეუდგნენ მანქანა-იარაღების კაპიტალურ და მიმდინარე რემონტს. ტიბაანელმა მექანიზატორებმა შეკეთებიდან გამოუშვეს სხვადასხვა მარკის 42 ტრაქტორი, 2 სილოსის ასაღები და 4 მარცვლეულის ასაღები კომბაინი, აგრეთვე სათესი მანქანები და სხვა ინვენტარი.

სურათზე: სოფელ ტიბაანის კოლმეურნეობის თავმჯდომარე ჯ. ხატიაშვილი (მარცხნივ) და სარემონტო სახელოსნოს გამგე ი. ხატიაშვილი ამოწმებენ მანქანა-იარაღების რემონტის მიმდინარეობას.

ი. დავითაშვილისა და ა. რუხაძის ფოტო (საქინფორმის ფოტოქრონიკა).

# „საქართველოს ჩაის" კოლექტივის სოციალისტური ვალდებულებანი

რესპუბლიკური სამრეწველო საწარმოო გაერთიანება „საქართველოს ჩაის" აპარატისა და საწარმოთა კოლექტივები დიდი პოლიტიკური და შრომითი აღმავლობით იბრძვიან სკკპ XXIV ყრილობის გადაწყვეტილებათა განხორციელებისათვის. მათ ფართოდ გაშალეს სოციალისტური შეჯიბრება და მაღალი მაჩვენებლები მოიპოვეს ხუთწლედის განმსაზღვრელ წელს.

გაერთიანების სამრეწველო საწარმოთა კოლექტივებმა ღრმად გააანალიზეს გასული წლის მუშაობის შედეგები და დაასკვნეს, რომ არ გამოუყენებიათ წარმოების ყველა რეზერვი.

ხელმძღვანელობენ რა პარტიისა და მთავრობის დადგენილებებით, პარტიისადმი, საბჭოთა ხალხისადმი სკკპ ცენტრალური კომიტეტის მიმართვისა და სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1974 წლის დეკემბრის პლენუმის გადაწყვეტილებათა პასუხად „საქართველოს ჩაის" მუშაკებმა 1975 წლისათვის იკისრეს შემდეგი სოციალისტური ვალდებულებანი:

გეგმის გადამეტებით გამოუშვან 16 მილიონი მანეთის პროდუქცია, მათ შორის პირველადი გადამუშავების 1000 ტონა ბაიხის ჩაი, 3 ათასი ტონა საექსპორტო პროდუქცია, 160 ტონა დაფასოებული ბაიხის ჩაი, 200 ტონა მწვანე აგურა ჩაი. ხუთწლედის მთლიანი წარმოების გეგმა შეასრულონ მიმდინარე წლის 1 სექტემბრისათვის, ხოლო წლიური გეგმა 10 დეკემბრისათვის. შარშანდელთან შედარებით მთლიანი პროდუქციის მოცულობა გაზარდონ 19 მილიონი მანეთით.

შარშანდელთან შედარებით შრომის ნაყოფიერება გაზარდონ 2,5 პროცენტით, მაშინ როცა გეგმა 1,9 პროცენტს ითვალისწინებს.

წარმოებაში დადგან 300 ერთეული ახალი მანქანები, ზუგდიდის ჩაის საწნეხ ფაბრიკაში აამოქმედონ დასაფასოებელი საამქრო, 11 ჩაის ფაბრიკას მიაშენონ სათავსები, რაც თითეული მათგანის სადღეღამისო სიმძლავრეს 42 ტონით გაზრდის. საექსპლოატაციოდ გადასცენ კიდევ მთელი რიგი სახეობის მოწყობილობა.

(საქინფორმი).

# ტყვარჩელელ მშრომელთა სოციალისტური ვალდებულებანი

ტყვარჩელელმა მშრომელებმა 1975 წლისათვის იკისრეს შემდეგი სოციალისტური ვალდებულებანი:

სამრეწველო პროდუქციის რეალიზაციის მოცულობისა და გამოშვების სახელმწიფო დავალება შეასრულონ 25 დეკემბრისათვის, ხოლო ხუთწლიანი პროგრამა—25 ნოემბრისათვის; გეგმასთან შედარებით შრომის ნაყოფიერება მრეწველობაში გაზარდონ ორი პროცენტით, მშენებლობასა და ტრანსპორტზე — ერთი პროცენტით; წლიური გეგმის გადამეტებით ამოიღონ 15 ათასი ტონა ქვანახშირი და გამოუშვან 4,5 ათასი ტონა ზეგეგმითი ქვანახშირის კონცენტრატი, ნაცრიანობა 0,1 პროცენტით შეამცირონ; გამოიმუშაონ 4 მილიონი კილოვატ-საათი ელექტროენერგია.

დავალების გადამეტებით გაანაღდონ 600 ათასი მანეთის სამრეწველო პროდუქცია, მიიღონ 250 ათასი მანეთის ზეგეგმითი მოგება; რაციონალიზატორთა შემოქმედების განვითარების შედეგად მიაღწიონ 200 ათასი მანეთის წლიურ ეკონომიურ ეფექტს.

დიდ სამამულო ომში საბჭოთა ხალხის გამარჯვების 30 წლისთავის აღსანიშნავად სამრეწველო წარმოების ოთხი თვის გეგმა შეასრულონ 28 აპრილისათვის.

სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოთა წლიური გეგმა შეასრულონ 27 დეკემბრისათვის.

ყველა სახეობის საავტომობილო ტვირთზიდვის გეგმა შეასრულონ 27 დეკემბრისათვის. მგზავრთა გადაყვანის თვითღირებულება ერთი პროცენტით შეამცირონ.

საცალო საქონელბრუნვის გეგმა შეასრულონ 28 დეკემბრისათვის, ხოლო საზოგადოებრივი კვებისა —30 დეკემბრისათვის.

ტყვარჩელელმა მშრომელებმა იკისრეს აგრეთვე ვალდებულება ჩაატარონ ქალაქის კეთილმოწყობის დიდი სამუშაოები, გააუმჯობესონ მოსახლეობის კომუნალური და საყოფაცხოვრებო მომსახურება, აამაღლონ კულტურულ-მასობრივი მუშაობის დონე.

ტყვარჩელელებმა გადაწყვიტეს განაგრძონ ტრადიციული სოციალისტური შეჯიბრება ტყიბულელებთან. (საქინფორმი).

# ავტოტრანსპორტელების დაპირება

## სახელმწიფო და შემხვედრი გეგმის გადამეტებით გადაზიდული იქნება 80 ათასი ტონა ტვირთი

ტრესტ „სოფლმეურნტრანსის" (მმართველი შ. ფრუიძე) საწარმოთა მძღოლებმა, ავტოშემკეთებლებმა, ინჟინერ-ტექნიკოსებმა, მუშებმა და მოსამსახურეებმა სკკპ XXIV ყრილობის ისტორიულ გადაწყვეტილებათა განხორციელებისათვის გაშლილ სოციალისტურ შეჯიბრებაში შარშან კარგ წარმატებას მიაღწიეს — სატრანსპორტო საშუალებათა მაქსიმალურად გამოყენების გზით ტვირთების გადაზიდვების წლიური გეგმა 105,4 პროცენტით შეასრულეს, ტონაკილომეტრებისა — 103,3 პროცენტით, მგზავრთა გადაყვანისა — 106,8 პროცენტით.

ტრესტის კოლექტივმა ღრმად შეისწავლა გასული წლის შედეგები, გაითვალისწინა ყველა რეზერვი და 1975 წლის გეგმის ვადამდე შესრულებისათვის ერთსულოვნად გადაწყვიტა:

წარმოების ეფექტიანობის შემდგომი ამაღლებით, სატრანსპორტო საშუალებათა უკეთ გამოყენებით, შრომისა და წარმოების ორგანიზაციის სრულყოფით, 1975 წლის გეგმა, შემხვედრი გეგმის ჩათვლით, 28 დეკემბრისათვის შეასრულონ, წლის ბოლომდე გეგმის გადამეტებით გადაზიდონ 80 ათასი ტონა სახალხო-სამეურნეო ტვირთი, მსუბუქი ტაქსების ფასიანი გარბენა გაზარდონ 100 ათასი კილომეტრით;

მისაბმელებით ტვირთის გადაზიდვა 5 პროცენტით გაზარდონ, ტვირთების გადაზიდვის თვითღირებულების შემცირებით მიიღონ 50 ათასი მანეთი ეკონომია, საწარმოებში ტექნიკური პროგრესის უზრუნველსაყოფად ავტომეურნეობებში მოაწყონ ტექნიკური მომსახურების დიაგნოსტიკის 2 პოსტი, დანერგონ 500 რაციონალიზატორული წინადადება და მიიღონ 60.000 მანეთის პირობითი ეკონომია; შრომის ნაყოფიერება გეგმასთან შედარებით გაზარდონ 1,5 პროცენტით, საწვავ-საცხები მასალები დაზოგონ 3 პროცენტით და წლის ბოლოს ერთ-ერთი დღე იმუშაონ დაზოგილი მასალებით; შემხვედრი ტვირთების გამოძებნის გზით სატვირთო მანქანების გარბენის გამოყენების კოეფიციენტი გაადიდონ 0,57 პროცენტით;

ტრესტ „სოფლმეურნტრანსის" კოლექტივი მთელ თავის შესაძლებლობას და ენერგიას არ დაზოგავს იმისათვის, რომ ღირსეულად შეასრულოს სოციალისტური ვალდებულებები და სოციალისტურ შეჯიბრებაში იწვევს საქართველოს სსრ საავტომობილო ტრანსპორტის სამინისტროს ქ. ქუთაისის № 3 ავტოსატრანსპორტო ტრესტის კოლექტივს.

**ვალდებულებები განხილულია და მიღებულია სამეურნეო აქტივის კრებაზე.**

# განვამტკიცოთ შრომითი თანამეგობრობა

ამიერკავკასიის რკინიგზის სამმართველომ და მაგისტრალის რკინიგზელთა პროფკავშირის საგზაო კომიტეტის პრეზიდიუმმა განიხილეს „შავი ზღვის სანაოსნოს, ოდესა-კიშინიოვის რკინიგზისა და ოდესის ოლქის სატვირთო საავტომობილო ტრანსპორტის საწარმოო სამმართველოს კოლექტივების 1975 წლის ერთობლივ სოციალისტურ ვალდებულებათა შესახებ" სკკპ ცენტრალური კომიტეტის დადგენილების განხორციელების ღონისძიებათა საკითხი.

ამიერკავკასიის მაგისტრალის მემანქანეებმა, მევაგონეებმა, მელიანდაგეებმა, ელექტროფიკატორებმა და სხვა პროფესიათა მუშაკებმა ერთსულოვნად მოიწონეს და მხარი დაუჭირეს ქვეყნის მოწინავე ტრანსპორტის მუშაკებს და იკისრეს გადიდებული სოციალისტური ვალდებულებანი. რკინიგზის სამმართველომ და რკინიგზელთა პროფკავშირის საგზაო კომიტეტის პრეზიდიუმმა მოუწოდეს მაგისტრალის ყველა რკინიგზელს ახალი, შრომითი საქმეებით უპასუხონ სკკპ ცენტრალური კომიტეტის მიმართვას პარტიისადმი, საბჭოთა ხალხისადმი. (საქინფორმი).

# გულთბილი შეხვედრები ლუის ალბერტო კორვალანთან

— თქვენი ჩამოსვლა სასიხარულო მოვლენაა არა მარტო ქართველი ახალგაზრდობისათვის, არამედ ყველა ჩვენგანისათვის, — უთხრა ახალგაზრდა ჩილელ რევოლუციონერს ლუის ალბერტო კორვალანს საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანმა ვ. მ. სირაძემ შეხვედრაზე, რომელიც 7 თებერვალს გაიმართა.

საბჭოთა ადამიანები, განაგრძო ვ. მ. სირაძემ, დიდი სიმპათიითა და ღრმა პატივისცემით ეკიდებიან ჩილეს მამაც და მტკიცე პატრიოტებს, რომლებიც იბრძვიან ფაშიზმის წინააღმდეგ, სამშობლოს განთავისუფლებისათვის.

ჩილეს ტრაგედია დიდი გულისტკივილითა და აღშფოთებით აღიქვა ყველა საბჭოთა ადამიანმა. ის, რაც თქვენს ქვეყანაში ხდება, მთელი საბჭოთა ხალხის, მსოფლიოს ყველა პროგრესული ადამიანის გულისწყრომასა და პროტესტს იწვევს.

ვ. მ. სირაძემ ხაზგასმით აღნიშნა, რომ საბჭოთა ადამიანები მხურვალე სოლიდარობას უცხადებენ ჩილელ პატრიოტებს, რომლებიც წინააღმდეგ სასტიკ რეპრესიებს ახორციელებს ხუნტა, მოითხოვენ გაათავისუფლონ ჩილეს კომპარტიის გენერალური მდივანი ლუის კორვალანი. მან ილაპარაკა გამოჩენილ კომუნისტთან საქართველოში დაუვიწყარ შეხვედრებზე, როცა მას ძველი თბილისის რაიონები ვუჩვენეთ, თქვა ვ. მ. სირაძემ, ლუის კორვალანი შეჩერდა 300 არაგველის ობელისკთან და განაცხადა: „სამშობლოსათვის სიცოცხლის შეწირვა უკვდავების გზაა".

ლუის ალბერტო კორვალანმა საქართველოს კომუნისტებს, ახალგაზრდობას გადასცა ჩილელი კომუნისტების, ახალგაზრდა ჩილელების სალამი. ულრმეს მადლობას მოგახსენებთ, თქვა მან, სოლიდარობის იმ მოძრაობისათვის, რომელიც ასე ფართოდ გაიშალა საბჭოთა კავშირში:

ჩვენი ხალხი, ჩვენი ახალგაზრდობა საბჭოთა ადამიანების მადლიერი არიან. დარწმუნებული ვართ, რომ საერთაშორისო სოლიდარობა უმნიშვნელოვანეს როლს შეასრულებს ჩილელი ხალხის გამარჯვების საქმეში. გმადლობთ კეთილი სიტყვებისათვის, რომლებიც თქვენ წარმოთქვით ჩილელი კომუნისტების, ჩილეს კომპარტიის გენერალური მდივნის, მამაჩემის მიმართ. ჩვენ მასი გზით ვივლით, ჩვენი ახალგაზრდობა სწავლობს მისი მაგალითით. ჩვენ, პროლეტარული ინტერნაციონალიზმის სულისკვეთებით აღზრდილებმა, ახლა უფრო, ვიდრე ოდესმე, ვიცით, რომ საჭიროა უფრო ინტენსიური ბრძოლა, ჩვენი ქვეყნის მთელი ანტიიმპერიალისტური ძალების გაერთიანება ხალხთა თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის ყველა მებრძოლთან.

ლუის ალბერტო კორვალანმა საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტს გადასცა ჩილეს კომპარტიის გენერალური მდივნის ლუის კორვალანის პორტრეტი.

ლუის ალბერტო კორვალანთან ერთად საუბარზე იყვნენ ჩილეს კომუნისტური ახალგაზრდობის საზღვარგარეთის სამდივნოს წევრი რაფაელ კარერა, სსრ კავშირში მოსწავლე ახალგაზრდა ჩილელ კომუნისტთა ორგანიზაციის ხელმძღვანელობის წევრი რობერტ ნორდენფიში.

საუბარს დაესწრნენ: საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი ჟ. კ. შარტავა, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის საზღვარგარეთთან ურთიერთობის განყოფილების გამგე ნ. ი. კიკვაძე, სსრ კავშირის ახალგაზრდულ ორგანიზაციათა კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილე ს. ა. ჩიბირიაევი, საქართველოს ახალგაზრდულ ორგანიზაციათა კომიტეტის თავმჯდომარე ვ. დ. შუბლაძე.

იმავე დღეს საქართველოს ალკკ ცენტრალურ კომიტეტში გაიმართა შეხვედრა ლუის ალბერტო კორვალანთან და სხვა ჩილელ ამხანაგებთან.

ჟ. კ. შარტავამ ჩილეს ახალგაზრდობის წარმომადგენლებს გააცნო საქართველოს ქალიშვილებისა და ჭაბუკების ცხოვრება, შრომა და სწავლა, აგრეთვე ესაუბრა ჩილელ პატრიოტებთან სოლიდარობაზე.

საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტის ბიუროს გადაწყვეტილებით ლუის ალბერტო კორვალანი შეტანილია საქართველოს რესპუბლიკის კომკავშირული ორგანიზაციის საპატიო წიგნში.

## არცერთი უქნარა, შრომის თავისამრიდებელი სოფლად!

# ყველას საქმე

### მაღლაკელთა სასოფლო ყრილობაზე

ხალხმრავალი დარბაზიდან მოულოდნელად სიტყვა ერთმა ახალგაზრდამ ითხოვა. ყველამ მას შეხედა, წუთით ისეთი სიჩუმე ჩამოვარდა, ბუზის გაფრენას გაიგონებდით.

— ეს ვაჟა კვერნაძეა, მაგას ნეტავი რა აქვს სათქმელი! — ხმამაღლა ჩაილაპარაკა ვიღაცამ.

— იცი შენ! — ჩაიქირქილა მეორემ.

— სიჩუმე! — წამოიძახა მესამემ, ეტყობოდა, ცნობისმოყვარეობამ დაძლია და უადგილო წამოძახილი ვერ აიტანა.

— თქვი! — გაისმნენ პრეზიდიუმიდან.

ახალგაზრდამ დარბაზს თვალი [illegible] დი. საშუალო სკოლა რომ დავამთავრე, სწავლა ველარ განვაგრძე და ამან, ცოტა არ იყოს, გული გამიტეხა. ვგრძნობ ჩემს დანაშაულს თქვენს წინაშე. პირობას ვიძლევი...

სიტყვა აღარ დაამთავრა, ცრემლიც კი მოერია და ტაშისა და ხალხის ხმაურში ტრიბუნა დატოვა.

ხალხმა იცის ალალი სიტყვის ფასი. ირწმუნეს ახალგაზრდის გულწრფელობა, დაიჯერეს, რომ იგი ამიერიდან მაინც აღარ შეხედავს ალმაცერად მიწას, გვერდში ამოუდგება სოფელს და მის ჭირსა და ლხინს გაიზიარებს.

სოფლის ყრილობა, რომელიც წყალტუბოს რაიონის სოფელ მაღლაკში გაიმართა, საინტერესო გამოდგა. ჯერ იყო და ამ ყრილობისათვის მზადებას სასოფლო საბჭოს აღმასკომი კარგა ხნით ადრე შეუდგა. გაანალიზა შარშანდელი წლის შედეგები. დეპუტატებმა და აქტივისტებმა ერთხელ კიდევ შემოიარეს უბნები, გაესაუბრნენ მოსახლეობას, გამოავლინეს უქნარები, საზოგადოებრივად სასარგებლო შრომის თავისამრიდე- [illegible] მექთახორობის წინააღმდეგ ბრძოლის გაძლიერების ღონისძიებათა შესახებ", — ყრილობაზე უამრავი ხალხი მიიზიდა. ამ დღეს სასოფლო კლუბში ტევა არ იყო. მარტო კეთილსინდისიერი, მშრომელი ადამიანები კი არ დაინტერესდნენ, არამედ ისინიც, ვინც ზერელედ ეკიდება შრომას, უსაქმურობს, გარე სამუშაოზე უჭირავს თვალი.

სოფელი მაღლაკი, გეოგრაფიული მდებარეობით, ისტორიული წარსულით, თუ გნებავთ მრავალდარგოვანი სოფლის მეურნეობით, მარტო წყალტუბოს რაიონში კი არა, მთელს ჩვენს რესპუბლიკაშიაც საინტერესო სოფელია. რესპუბლიკის ერთ-ერთი უდიდესი სამრეწველო გიგანტი, ქუთაისის საავტომობილო ქარხანა ამ სოფლის ტერიტორიაზეა აგებული. ბუნებრივია, სოფლის მოსახლეობის ერთი ნაწილი და საკმაოდ დიდი ნაწილი თავიდანვე ჩადგა ავტომშენებელთა რიგებში და სახელოვნადაც შრომობს ქართული ავტომობილის მარკის ღირსებისათვის. მიწის სიყვარული როდი დაკარგეს ამ ადამიანებმა, თავისუფალ დროს საკოლმეურნეო მინდვრებშიც ნაყოფიერად შრომობენ, ყოველმხრივ ხელს უწყობენ თანასოფლელებს მეტი და მაღალხარისხოვანი პროდუქტების სიუხვეში. სხვანაირად არც შეიძლება მოხდეს: იყო სოფელში და სოფლისათვის არა ზრუნავდე, — საკუთარმა სინდისმა რომ გაპატიოს, მომავალი არ დაგიზოგავს.

მხოლოდ საბჭოთა ხელისუფლების წლებში აშენდა და დამშვენდა სოფელი მაღლაკი. ამჟამად სასოფლო საბჭოს ტერიტორიაზე მცხოვრებ 1400 კომლს, რომელთა შემადგენლობაში 5040 სულია, ემსახურება სამი დაწყებითი, ორი რვაწლიანი, ერთი საშუალო და სოფლის ახალგაზრდობის საღამოს სკოლები, კულტურის სახლი, სამი ბიბლიოთეკა, სავაჭრო და საზოგადოებრივი კვების [illegible] რომონ და შეძლებულად იცხოვრონ.

სოფლის მშრომელთა დიდი უმრავლესობა, რომლებიც გაერთიანებული იყვნენ ორ კოლმეურნეობაში (სულ ახლახან კოლმეურნეობათა ბაზაზე შეიქმნა მსხვილი მერძევეობა-მებოსტნეობის საბჭოთა მეურნეობა), ნაყოფიერად შრომობს საზოგადოებრივი მეურნეობის მინდვრებსა და პლანტაციებში, ფერმებსა და მშენებლობებზე. ამ ბოლო წლებში კერძომესაკუთრული ტენდენციების, მექთახორობის, სოციალისტური საკუთრების დამტაცებელთა წინააღმდეგ რესპუბლიკაში გატარებულმა ღონისძიებებმა დადებითი გავლენა მოახდინა სოფელ მაღლაკის ცხოვრებაზეც.

მაღლაკელები ერთსულოვნად გამოეხმაურნენ ხუცუბნელთა და ტყვიაველთა მოწოდებას და მტკიცე ბრძოლა გამოუცხადეს წარსულის მავნე გადმონაშთებს, საგრძნობლად შემცირდა სოფლის იმ მცხოვრებთა რიცხვი, რომლებიც არ ეწევიან საზოგადოებრივად სასარგებლო შრომას, მნიშვნელოვნად გაიზარდა სოფლის მეურნეობის პროდუქტების მოცულობა. მაგალითად, წინა წლებთან შედარებით შარშან წარმოებულია 128 ტონით მეტი ჩაის მწვანე ფოთოლი, 162 ტონით მეტი ბოსტნეული. სიმინდის საშუალო საჰექტარო მოსავლიანობა გადიდდა 1,3 პროცენტით, წარმატებით შესრულდა ნაკისრი გაზრდილი სოციალისტური ვალდებულებები რძის, ხორცისა და კვერცხის წარმოებისა და დამზადების საქმეშიც.

დიახ, ყოველივე ეს ითქვა სოფლის ყრილობაზე მოხსენებაში, კამათში მონაწილე ამხანაგების — ვეტერანი კოლმეურნის ა. ჟორჟოლიანის, № 5 ბრიგადის ბრიგადირის, ლენინის ორდენოსანი ი. ჩიჩილაშვილის, მეცხოველეობის ფერმის მოწინავე მწველავის ო. წუწუნიძის, საშუალო სკოლის კურსდამთავრებულის მ. კოხრეიძის, ახალგაზრდა [illegible] თად მოქმედებს სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების წარმოებაზე, იმ ამოცანების წარმატებით შესრულებაზე, რომლებიც დასახულია სკკპ XXIV ყრილობის დადგენილებებით. მაგალითად, მარტო ლენინის სახელობის კოლმეურნეობაში, ნაცვლად 68 მანეთისა ერთი ცენტნერი ჩაის წარმოებაზე 80 მანეთი დაიხარჯა. ერთი ცენტნერი ბოსტნეულის წარმოებაზე კი — 12 მანეთი, ნაცვლად 7 მანეთისა. შრომისუნარიანი კოლმეურნის საშუალო გამომუშავებამ 98 კაცდღე შეადგინა. ანალოგიური მდგომარეობაა რუსთაველის სახელობის კოლმეურნეობაშიც.

ყრილობაზე მკაცრად გააკრიტიკეს გერონტი, გულნაზ, მალვინა, ნელი ჟორჟოლიანები, მარგალიტა ნიქაბაძე, ნინო ანდრიაძე, იუზა ჭოლაძე, ანზორ, მაყვალა დეისაძეები, ნაირა, შოთა გვერნაძეები და სხვები, რომლებიც თავს არიდებენ საზოგადოებრივად სასარგებლო შრომას. შალვა მიხეილის-ძე ჭეიშვილი და მისი მეუღლე ლამარა კოლმეურნეობის შრომისუნარიან წევრებად ითვლებიან, ფლობენ საკარმიდამო მიწის ნაკვეთს, ჰყავთ მსუბუქი ავტომანქანა „ვოლგა", მაგრამ იშვიათად მონაწილეობენ საზოგადოებრივ შრომაში.

სათანადო კონტროლი არ არის დაწესებული საშუალო სკოლის კურსდამთავრებულთა შრომითი მოწყობის საქმეზე. 1973-1974 წლებში კურსდამთავრებული 65 მოსწავლიდან საზოგადოებრივ-სასარგებლო შრომაში მხოლოდ 10 ახალგაზრდა მონაწილეობს.

ყრილობაზე მოიყვანეს იმის ფაქტებიც, რომ მტკიცე და შეურიგებელი ბრძოლა არ არის გაჩაღებული იმ პირთა მიმართ, რომლებიც უკანონოდ ფლობენ საკოლმეურნეო მიწის ნაკვეთებს.

მარტო ლენინის სახელობის კოლმეურნეობის № 1 ბრიგადის წევრთა შემოწმებული 33 ოჯახიდან 24 ოჯა- [illegible]

# საბჭოების დიდი პასუხისმგებლობა

[illegible] პუტატების ადგილობრივმა საბჭოებმა, ხელმძღვანელობდნენ რა სკკპ XXIV ყრილობის გადაწყვეტილებებით, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის დადგენილებით, კანონებით საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების სასოფლო, სადაბო, რაიონული, საქალაქო საბჭოების შესახებ, მნიშვნელოვნად გააუმჯობესეს ორგანიზაციულ-მასობრივი მუშაობა, რამაც დიდად შეუწყო ხელი მეცხრე ხუთწლედის მეოთხე განმსაზღვრელი წლის გეგმების წარმატებით შესრულებას, დემოკრატიული პრინციპების დაცვას, სოციალისტური კანონიერების განმტკიცებას, საბჭოების დეპუტატების, მუდმივი კომისიების, თვითეული მშრომელის აქტივობის შემდგომ ამაღლებას.

საბჭოების სესიებსა და აღმასკომების სხდომებზე სისტემატურად იხილებოდა საკითხები, რომლებიც დაკავშირებული იყო სამეურნეო-ეკონომიურ და სოციალურ-კულტურულ მშენებლობასთან, სოციალისტური კანონიერების დაცვასთან.

განსაკუთრებული ყურადღება ექცეოდა სსრ კავშირის მშრომელთა დეპუტატების საბჭოს დეპუტატის სტატუსის შესახებ კანონის განხორციელებას, საბჭოების სესიების მოწვევის კონსტიტუციური ვადების დაცვას, აღმასკომების, მისი განყოფილებებისა და სამმართველოების მიერ მოსახლეობისათვის ანგარიშების ჩაბარებას და ა. შ.

საბჭოების ყურადღების ცენტრში იყო აგრეთვე მშრომელთა მიღების, განცხადებებისა და საჩივრების განხილვის მდგომარეობის, დეპუტატთა კრიტიკულ შენიშვნებსა და წინადადებებზე რეაგირების, გადაწყვეტილებათა შესრულების, მუდმივი კომისიების მუშაობის და სხვა მრავალი საკითხი.

1974 წელს სესიებზე საკითხების განხილვაში მონაწილეობა მიიღო 31.651 დეპუტატმა, ანუ მთელი შემადგენლობის 64,5 პროცენტმა.

გაიზარდა დეპუტატების აქტივობა. გასულ წელს დეპუტატებმა სესიებზე შეკითხვის წესით წამოაყენეს 1.219 საკითხი — თითქმის ორჯერ მეტი, ვიდრე 1973 წელს.

რესპუბლიკის ადგილობრივმა საბჭოებმა გარკვეული მუშაობა გასწიეს ამომრჩეველთა განაწესების შესრულებისათვის. საანგარიშო პერიოდში საბჭოების მიერ მიღებული 28.382 განაწესიდან შესრულდა 22.711.

ასპინძის, წყალტუბოს, ზობის, ბოგდანოვკის, ჩხოროწყუს, სიღნაღის და ზოგიერთი სხვა რაიონის ადგილობრივ საბჭოებს განაწესების შესრულების საქმეში კარგი მაჩვენებლები აქვთ.

განაწესების განხორციელების შედეგად ბევრ რაიონსა და ქალაქში აშენდა სკოლები, საბავშვო ბაღები, სავაჭრო და კულტურულ-საყოფაცხოვრებო დანიშნულების ობიექტები, კეთილმოწყობილია მრავალი დასახლებული პუნქტი და გზა, გაუმჯობესდა მოსახლეობის სავაჭრო, საყოფაცხოვრებო და სოციალურ-კულტურული მომსახურება.

1974 წელს გაიზარდა მუდმივი კომისიების აქტივობა. მათ მონაწილეობა მიიღეს სესიებისა და აღმასკომის სხდომებისათვის მრავალი საკითხის მომზადებაში.

საარჩევნო ოლქებში საგრძნობლად გააქტიურდა ადგილობრივი საბჭოების დეპუტატთა საქმიანობა. მათი დიდი უმრავლესობა კანონის შესაბამისად აბარებს ანგარიშს ამომრჩევლებს. გასულ წელს 46.967 დეპუტატმა, ანუ 95,8 პროცენტმა ორჯერ ჩააბარა ანგარიში ამომრჩევლებს (გორის საქალაქო, წალენჯიხის, სამტრედიის, ვანის, მაიაკოვსკის, ჩოხატაურის, ლანჩხუთის, ყვარლის, სიღნაღის, კასპის და ზოგიერთი სხვა რაიონის ადგილობრივი საბჭოების დეპუტატები).

საბჭოების აღმასკომები, მათი განყოფილებები და სამმართველოები მეტი პასუხისმგებლობით ეკიდებოდნენ სესიებზე და მოსახლეობის წინაშე ანგარიშებით გამოსვლას. 1974 წელს სესიებს ანგარიში ჩააბარა 1.099 აღმასკომმა (საერთო რაოდენობის 99,7 პროცენტი), ხოლო მოსახლეობის წინაშე ანგარიშით გამოვიდა 1.068 აღმასკომი (96,9 პროცენტი).

რეგულარულად აბარებენ ანგარიშს მოსახლეობას წითელწყაროს, თელავის, ზესტაფონის, საჩხერის, დუშეთის, ახალციხის, ამბროლაურის, გეგეჭკორის, ცხაკაიას, წულუკიძის, მახარაძის რაიონული, ტყიბულის, ჭიათურის, ფოთის, საქალაქო საბჭოების აღმასკომების განყოფილებები და სამმართველოები.

მშრომელთა დეპუტატების საქალაქო, რაიონული, სასოფლო და სადაბო საბჭოებმა მოაწყვეს მრავალი სემინარი და „დეპუტატის დღე".

კახეთის ზონის რაიონული და საქალაქო აღმასკომების მუშაკთათვის მოეწყო სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენცია საბჭოების ორგანიზაციულ-მასობრივი მუშაობის აქტუალურ საკითხებზე.

მნიშვნელოვანი ღონისძიებები განხორციელდა სასოფლო და სადაბო საბჭოების აღმასკომების კადრებით განმტკიცებისა და მათი კვალიფიკაციის შემდგომი ამაღლებისათვის.

ამასთან, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის სხდომაზე აღინიშნა, რომ რესპუბლიკის ადგილობრივი საბჭოების ორგანი- [illegible] ნებებისა და სოციალურ-კულტურული დანიშნულების ობიექტების მუშაობის გაუმჯობესებისათვის, ჯეროვან ყურადღებას არ აქცევს მოსახლეობის სავაჭრო, საყოფაცხოვრებო და სამედიცინო მომსახურების საქმეს, სათანადო ღონისძიებებს არ ახორციელებს დასახლებული პუნქტებისა და გზების კეთილმოწყობის, კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებათა მატერიალური ბაზის განმტკიცებისათვის.

არის შემთხვევები, როდესაც საბჭოს აღმასკომი არ იცავს სესიების მოწვევის კანონით დადგენილ ვადებს (ბორჯომის საქალაქო, ლენტეხის რაიონის, ცანისა და გარდაბნის რაიონის, ნორიოს სასოფლო საბჭოები).

მთელ რიგ რაიონებში არ იცავენ ადგილობრივი საბჭოების არჩევნების დებულების მოთხოვნას საბჭოების შემადგენლობიდან გასული დეპუტატების ნაცვლად ახალი დეპუტატის არჩევის შესახებ. ამ მხრივ არადამაკმაყოფილებელი მდგომარეობაა მარნეულისა და თიანეთის რაიონებში.

ბევრ საბჭოში დეპუტატებს სათანადო დახმარებას არ უწევენ თავიანთ მოვალეობის შესრულებაში, მოწყობილი არ არის დეპუტატის ოთახი ან კუთხე, არ ეწყობა იურიდიული კონსულტაციები და სხვა.

ზოგიერთი საბჭოს აღმასკომი, განყოფილება და სამმართველო სათანადო პასუხისმგებლობით არ ეკიდება სესიებზე და მოსახლეობისათვის ანგარიშის ჩაბარების საქმეს. კერძოდ, 1974 წელს სესიებს ანგარიში არ ჩააბარეს სამხრეთ ოსეთის საოლქო, ბორჯომის საქალაქო და თიანეთის რაიონის ხევსურთსოფლის სასოფლო საბჭოების აღმასკომებმა, ხოლო მოსახლეობას — აჭარის ასსრ 7 სასოფლო, სამხრეთ ოსეთის საოლქო, ქ. თბილისის ოქტომბრის, ონის რაიონული, ბოგდანოვკის სადაბო, სასოფლო, ხაშურის რაიონის გომის სასოფლო საბჭოების აღმასკომებმა და სხვ.

## საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმში

კვლავ სერიოზული ნაკლოვანებებია საბჭოების ხელმძღვანელი კადრების შერჩევის საქმეში.

ამომრჩეველთა განაწესები ყველგან როდი სრულდება. თბილისის საქალაქო საბჭომ 113 განაწესიდან შეასრულა მხოლოდ 45, კასპის საქალაქო საბჭოს დეპუტატებმა — 67-დან 36 და ა. შ.

საბჭოების ზოგიერთი მუდმივი კომისია სათანადო კონტროლს ვერ უწევს საბჭოების გადაწყვეტილებათა შესრულებას. საანგარიშო პერიოდში სესიისა და აღმასკომის სხდომისათვის არც ერთი საკითხი არ მოუმზადებიათ ბათუმის საქალაქო საბჭოს მშენებლობის, ბორჯომის საქალაქო საბჭოს ახალგაზრდობის საქმეთა, მესტიის რაიონული საბჭოს ბუნების დაცვის, მაიაკოვსკის რაიონული საბჭოს ახალგაზრდობის საქმეთა, სიღნაღის რაიონული საბჭოს მრეწველობის, თიანეთის რაიონული საბჭოს ჯანმრთელობის დაცვის, გარდაბნის რაიონული საბჭოს სოციალისტური კანონიერების და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის, ცაგერის რაიონული საბჭოს ჯანმრთელობის დაცვის, ლაგოდეხის საქალაქო საბჭოს ახალგაზრდობის საქმეთა, ვაჭრობის და საზოგადოებრივი კვების, საბინაო-კომუნალური მეურნეობის და კეთილმოწყობის მუდმივმა კომისიებმა.

სუსტად მუშაობენ აბაშის რაიონული საბჭოს — ტრანსპორტისა და საგზაო მშენებლობის, ორჯონიკიძის რაიონული საბჭოს ახალგაზრდობის საქმეთა, სოციალისტური კანონიერების და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის და სხვა მუდმივი კომისიები, რომლებმაც მთელი წლის განმავლობაში მხოლოდ თითო საკითხი მოამზადეს აღმასკომის სხდომის განსახილველად.

ასევე არადამაკმაყოფილებლად მუშაობენ მთელი რიგი სასოფლო საბჭოების მუდმივი კომისიები.

მშრომელთა დეპუტატების ადგილობრივი საბჭოების ორგანიზაციულ-მასობრივ მუშაობაში არსებული ნაკლოვანებანი ძირითადად გამოწვეულია იმით, რომ რაიონული და საქალაქო საბჭოების აღმასრულებელი კომიტეტები სათანადო დახმარებას და კონტროლს არ უწევენ ქვემდგომ საბჭოებს.

შემდეგ მოსმენილ იქნა საკითხი — ბოლნისისა და ხაშურის რაიონების მშრომელთა დეპუტატების საბჭოების აღმასრულებელ კომიტეტებთან არსებული ადმინისტრაციული კომისიების მუშაობის შესახებ.

აღინიშნა, რომ ამ რაიონების აღმასკომებთან არსებული ადმინისტრაციული კომისიები მნიშვნელოვან მუშაობას ეწევიან ადმინისტრაციულ დარღვევათა აღსაკვეთად, საბჭოთა კანონებისა და მართლწესრიგის დასაცავად.

ბოლნისის რაიონული საბჭოს [illegible]

ამასთან ერთად აღნიშნული ადმინისტრაციული კომისიების მუშაობაში არის სერიოზული ნაკლოვანებანი.

კომისიები ხშირად საქმეებს განიხილავენ ადმინისტრაციული დარღვევის შემთხვევის ერთი თვის შემდეგ. ხაშურის რაიონული საბჭოს აღმასკომთან არსებულმა ადმინისტრაციულმა კომისიამ 1974 წელს ასეთი დაგვიანებით განიხილა 13 საქმე, საქალაქო საბჭოს აღმასკომთან არსებულმა ადმინისტრაციულმა კომისიამ — 6, სურამის სადაბო საბჭოს აღმასკომთან არსებულმა ადმინისტრაციულმა კომისიამ — 9, ბოლნისის რაიონული საბჭოს აღმასკომთან არსებულმა ადმინისტრაციულმა კომისიამ კი — 17 საქმე.

უმეტეს შემთხვევებში ადმინისტრაციული კომისიების სხდომების ოქმები და დადგენილებები არ ფორმდება ადმინისტრაციულ დარღვევათა საქმის წარმოების წესის შესახებ დებულების შესაბამისად.

სხდომაზე აღინიშნა, რომ ადმინისტრაციული კომისიები არ ახორციელებენ ყველა ღონისძიებას ადმინისტრაციულ დარღვევათა გამომწვევი მიზეზებისა და ხელშემწყობი პირობების დასადგენად და აღსაკვეთად, ჯეროვნად ვერ აფასებენ მშრომელთა კოლექტივებისა და ამხანაგური სასამართლოების როლს სამართალდარღვევებთან ბრძოლის საქმეში. კომისიების მუშაობას სათანადოდ არ აშუქებენ ადგილობრივი პრესა და რადიო.

ადმინისტრაციული კომისიების მუშაობაში არსებული ნაკლოვანებანი ძირითადად იმის შედეგია, რომ მშრომელთა დეპუტატების ბოლნისისა და ხაშურის რაიონული საბჭოების აღმასრულებელი კომიტეტები სათანადო დახმარებას არ უწევენ ადმინისტრაციულ კომისიებს, მათი საქმიანობის საკითხებს იშვიათად განიხილავენ თავიანთ სხდომებზე. ამასთან პროკურატურის ადგილობრივი ორგანოები სათანადო ზედამხედველობას არ უწევენ კომისიების მუშაობას.

პრეზიდიუმის სხდომაზე მოისმინეს აგრეთვე საკითხი, თუ როგორ სრულდება „თავისუფლების აღკვეთის ადგილებიდან ერთდროულად ზოგიერთი კატეგორიის მსჯავრდებულთა პირობით გათავისუფლებისა და მშენებლობებზე და სახალხო მეურნეობის საწარმოებში მათი სამუშაოდ გაგზავნის შესახებ" სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1974 წლის 1 მარტის ბრძანებულების შესრულებასთან დაკავშირებით საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1974 წლის 28 ივნისის დადგენილება.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის სხდომამ განიხილა აგრეთვე საქართველოს სსრ სახალხო კონტროლის კომიტეტის და რესპუბლიკის პროკურორის მოხსენებითი ბარათი სამკერდე ნიშნების დაწესების და დამზადების დადგენილი წესის დაცვის შემოწმების შედეგების შესახებ და აღინიშნა, რომ რესპუბლიკის ბევრი სამინისტრო, უწყება, მშრომელთა დეპუტატების საბჭოების აღმასრულებელი კომიტეტი და საზოგადოებრივი ორგანიზაცია უხეშად არღვევს ამ წესს. სამკერდე ნიშნები ხშირად კეთდება საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს უნებართვოდ და საქართველოს პროფსაბჭოსა და ფინანსთა სამინისტროსთან შეუთანხმებლად.

მთელი რიგი სამინისტროების, უწყებების და საწარმოების ხელმძღვანელები, მშრომელთა დეპუტატების საბჭოს აღმასკომები აჭარბებენ თავიანთ უფლებებს — ამტკიცებენ დებულებას სამკერდე ნიშნების შესახებ, რითაც აწესებენ ისეთ შეღავათებს, რომლებიც არ შეესაბამება მოქმედ საკანონმდებლო და სხვა ნორმატიულ აქტებს.

ამასთან ამ ნიშნების დამზადებისათვის იხარჯება დიდძალი სახსრები და დეფიციტური მასალა.

ეს ნაკლოვანებები აიხსნება იმით, რომ სამინისტროები, უწყებები, ქალაქებისა და რაიონების მშრომელთა დეპუტატების საბჭოების აღმასკომები სათანადო კონტროლს არ უწევენ ამ საქმეს.

პრეზიდიუმის სხდომაზე მიღებული იქნა ბრძანებულება, რომლის შესაბამისად იზრდება პასუხისმგებლობა უხარისხო მშენებლობისათვის.

პრეზიდიუმის სხდომამ მოისმინა სხვა საკითხებიც. ყველა განხილულ საკითხზე მიღებულია შესაბამისი დადგენილება.

პრეზიდიუმის სხდომაში მონაწილეობდნენ: საქართველოს სსრ შინაგან საქმეთა მინისტრი ამხ. კ. კეთილაძე, საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს თავმჯდომარე ამხ. ტ. კარანაძე, საქართველოს სსრ პროკურორის მოადგილე ამხ. ლ. თალაკვაძე, საქართველოს სსრ იუსტიციის მინისტრის მოადგილე ამხ. გ. ცქიტიშვილი, საქართველოს სსრ სახალხო კონტროლის კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილე ამხ. შ. თავზარაშვილი, საქართველოს სსრ მშენებლობის მინისტრის მოადგილე ამხ. დ. გაგუნაშვილი, ხაშურის მშრომელთა დეპუტატების რაისაბჭოს აღმასკომის თავმჯდომარე ამხ. ო. ხოჯაველიძე, ბოლნისის მშრომელთა დეპუტატების რაისაბჭოს აღმასკომის თავმჯდომარის მოადგილე ამხ. ვ. გობეჯიშვილი.

# არ დავკმაყოფილდეთ მიღწეულით

### აჭარის პარტიულ-სამეურნეო აქტივის კრებაზე

ახლახან გამართულმა აჭარის პარტიულ-სამეურნეო აქტივის კრებამ მოისმინა მოხსენებანი: პარტიის აჭარის საოლქო კომიტეტის პირველი მდივნის ვ. პაპუნიძისა „სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1974 წლის დეკემბრის პლენუმის შედეგები და აჭარის პარტიული ორგანიზაციის ამოცანები", აჭარის ასსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის ლ. დავითაძისა — „1974 წლის სოციალისტური შეჯიბრების შედეგებისა და 1975 წლის გეგმებისა და ვალდებულებათა შესრულების ღონისძიებათა შესახებ".

მომხსენებლებმა და კამათის მონაწილეებმა აღნიშნეს, რომ მეცხრე ხუთწლედის პირველ ორ წელიწადში აჭარაში სახალხო მეურნეობის ზოგიერთი დარგი ჩამორჩა დაგეგმილ ზრდის ტემპებს. საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის მიერ დასახულ ღონისძიებათა განხორციელებამ დადებითი შედეგი გამოიღო ეკონომიკისა და კულტურის ყველა დარგში. თუ 1972 წელს აჭარაში გეგმას ვერ ასრულებდა 17 საწარმო, 1973 წელს ჩამორჩენილ საწარმოთა რიცხვი ექვსამდე დავიდა, გასული წლის ბოლოსათვის კი ჩამორჩენილი იყო მხოლოდ ორი საწარმო.

ბოლო წლებში სიძნელეები დაძლეულია, ზრდის ტემპმა შეადგინა 20,9 პროცენტი, დაგეგმილი 20,2 პროცენტის ნაცვლად.

აღსანიშნავია, რომ 1974 წელი სამრეწველო საწარმოთა საქმიანობაში ყველაზე შედეგიანი იყო. წარმატებით შესრულდა შემხვედრი გეგმები და ვალდებულებები. შარშან მრეწველობამ გეგმის გადამეტებით გამოუშვა 10 მილიონ მანეთზე მეტი პროდუქცია, 104 პროცენტით იქნა განაღდებული პროდუქციის რეალიზაციის დავალება.

აქტივის კრებაზე აღინიშნა, რომ აჭარის ადგილობრივი მრეწველობის სამინისტროს ზოგიერთ საწარმოს, აგრეთვე საყოფაცხოვრებო მანქანათმშენებელ და ელექტროხელსაწყოს ქარხნებს განვლილ ოთხ წელიწადში არ შეუსრულებიათ ხუთწლედით დაგეგმილი დავალებები, ნელა უმჯობესდება გამოშვებული პროდუქციის ხარისხი.

თავი გამოიჩინეს სოფლის მეურნეობის მშრომელებმა. მათ განვლილ 4 წელიწადში მოკრიფეს დაგეგმილზე 9 ათასი ტონით მეტი ჩაი. მოსავლიანობამ საშუალოდ ჰექტარზე 6.170 კილოგრამს მიაღწია, რაც ჯერჯერობით სარეკორდოა. მეციტრუსეებმა ხუთწლედის 4 წელიწადში შეასრულეს — 95 ათასი ტონის ნაცვლად დამამზადებელ ორგანიზაციებს მიჰყიდა 181 ათასი ტონა ციტრუსი. გეგმები დიდი გადაჭარბებით შეასრულეს მეთამბაქოეებმა, მეხილეებმა, მეკარტოფილეებმა.

აქტივმა ყურადღება გაამახვილა სოფლის მეურნეობაში არსებულ ნაკლოვანებებზე. მომხსენებლებმა და კამათის მონაწილეებმა აღნიშნეს, რომ სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1974 წლის დეკემბრის პლენუმზე ლ. ი. ბრეჟნევის სიტყვამ, სკკპ ცენტრალური კომიტეტის მიმართვამ პარტიისადმი, ხალხისადმი, დადგენილებებმა 1975 წლისათვის სოციალისტური შეჯიბრების გაშლის შესახებ, მშრომელთა ახალი ენთუზიაზმი გამოიწვია. მიმდინარე წლის პირველი დღეებიდანვე აღებულ იქნა ენერგიული სტარტი.

წლეულს გათვალისწინებულია პროდუქციის ხარისხის გაუმჯობესება, შრომატევადი პროცესების მექანიზაცია, ტექნოლოგიის სრულყოფა.

დაგეგმილია სოფლის მეურნეობის პროდუქციის ზრდა, მატერიალურ-ტექნიკური ბაზის განმტკიცება, მოსახლეობის კულტურულ-საყოფაცხოვრებო პირობების გაუმჯობესება.

პარტიულ-სამეურნეო აქტივის კრების მონაწილეებს გააცნეს 1974 წლის სოციალისტური შეჯიბრების შედეგები, გამოაცხადეს შეჯიბრებაში გამარჯვებულნი.

აქტივის კრებამ მიიღო აჭარის მშრომელთა სოციალისტური ვალდებულებანი მიმდინარე წლისა და მთლიანად მეცხრე ხუთწლედის გეგმების ვადამდე შესრულების მიზნით, დასახა ღონისძიებანი მათ წარმატებით შესასრულებლად.

მ. გორგილაძე,
„კომუნისტის" საკ. კორ.

## ჩვენი ახალი ფოსტიდან

მაიაკოვსკი. სარაიონო ბიბლიოთეკაში მოეწყო გამოფენა თემაზე „საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის XIV პლენუმის მასალები". ბიბლიოთეკის აქტივისტებმა დაბის კოლმეურნეობის მეცხოველეობის ფერმის მუშაკებისათვის გამართეს საუბრები თემაზე „საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის XIV პლენუმის გადაწყვეტილებები და მეცხოველეობის ფერმის მუშაკთა ამოცანები".

დ. გიგაური.

ზუგდიდი. მოსწავლეთა საზამთრო არდადეგების შემდეგ საექსპლოატაციოდ გადაეცა მეათე საშუალო სკოლის ახალი სამსართულიანი შენობა. მშენებლობას აწარმოებდა 183-ე მექანიზებული კოლონა. ეს სკოლა საზოგადოებრივი სახსრებით აშენდა.

ბ. ალშიბაია.

ასპინძა. ნაქალაქევში საექსპლოატაციოდ გადაეცა სასოფლო საბჭოს ახალი შენობა. სოფელ თმოგვის ახალ ნაგებობაში მოთავსდა სამედიცინო-საბებიო პუნქტი და სოფლის ბიბლიოთეკა.

მშენებლობაში აქტიურად მონაწილეობდნენ დეპუტატები და აქტივისტები.

შ. კაველიძე.



## მათ შეასრულეს ხუთწლიანი გეგმა



თბილისის ქიმიურ-ფარმაცევტულ ქარხანაში ამზადებენ ბევრ მნიშვნელოვან მედიკამენტს, მრავალი მათგანი კი იგზავნება ჩვენი რესპუბლიკის ფარგლებს გარეთ.

საწარმოს კოლექტივი წარმატებით იბრძვის მეცხრე ხუთწლედის დავალებათა ვადამდე შესრულებისათვის.

ქარხანაში არიან წარმოების მოწინავე მუშაკები, რომლებმაც უკვე შეასრულეს თავიანთი ხუთწლედები. მათ შორის არის მზა პროდუქციის გაფორმების უბნის მოწინავე მუშა სონია კანდინაშვილიც.

სურათზე: თბილისის ქიმიურ-ფარმაცევტული ქარხნის მზა პროდუქციის გაფორმების უბნის მოწინავე მუშა ს. კანდინაშვილი.

ვ. მორგუნოვის ფოტო (საქინფორმის ფოტოქრონიკა).

ტყიბულის ქვანახშირის შახტებში ფართოდ არის გაშლილი სოციალისტური შეჯიბრება. განსაკუთრებულ წარმატებებს აღწევს სტალინის სახელობის შახტის № 1 სამთო უბნის კომუნისტური შრომის ის ბრიგადა, რომელსაც ლენინის ორდენოსანი მეშახტე ლ. კირკიტაძე ხელმძღვანელობს. ბრიგადამ შარშან გეგმის გადაჭარბებით ამოიღო 1.050 ტონა „შავი ოქრო". ახლა ლ. კირკიტაძე და მისი ბრიგადის წევრები 1976 წლის ანგარიშში შრომობენ.

სურათზე: მეშახტეთა კომუნისტური შრომის ბრიგადის ხელმძღვანელი ლ. კირკიტაძე.

ხ. ხოსრომაძის ფოტო.

„კომუნისტის" კრიტიკული გამოსვლის შემდეგ

# დამნაშავეებს — სასჯელი

**რედაქციას უპასუხებენ საქართველოს კომპარტიის აჭარის საოლქო კომიტეტი, ლანჩხუთის, სამტრედიის, აბაშის, ხობის რაიონული კომიტეტები, საქართველოს სსრ საწარმოო გეოლოგიური სამმართველო.**

გაზეთ „კომუნისტში" დაბეჭდილი იყო ორი წერილი „მომხვეჭელები" და „ისევ მომხვეჭელები", რომლებიც ეხებოდა რესპუბლიკის ფარგლებს გარეთ ციტრუსების გატანას.

ამასთან დაკავშირებით საქართველოს კომპარტიის აჭარის საოლქო კომიტეტის პირველმა მდივანმა ვ. პაპუნიძემ გვაცნობა:

აჭარის ასსრ მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების სამინისტროს გარაჟის მძღოლები შ. მ. მახარაძე და გ. მ. მახარაძე, რომლებმაც გარაჟის ხელმძღვანელობის უკონტროლობით მოახერხეს სახელმწიფო სატვირთო ავტომანქანით ციტრუსოვანთა ნაყოფის სასპეკულაციოდ გატანა, სისხლის სამართლის პასუხისგებაში არიან მიცემულნი. ჩამოერთვათ აგრეთვე კუთვნილი 1.650 კვადრატული მეტრი მიწის ფართობი.

აღნიშნული ფაქტი განიხილა აჭარის ასსრ მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების სამინისტროს კოლეგიამ და ავტოგარაჟის უფროსის მოვალეობის დროებითი შემსრულებელი შ. ბერიძე და მექანიკოსი თ. ბერიძე გაათავისუფლა თანამდებობიდან, დისპეტჩერ ნ. გოგიტიძეს გამოუცხადა საყვედური უკანასკნელი გაფრთხილებით. გარაჟის მუშაობაში არსებული დარღვევებისათვის, რამაც განაპირობა რესპუბლიკის ფარგლებს გარეთ ციტრუსოვანთა ნაყოფის გატანის მცდელობა, ავტოგარაჟის უფროსი ნ. ავალიანი გაათავისუფლეს თანამდებობიდან.

**საქართველოს კომპარტიის ლანჩხუთის რაიკომის პირველმა მდივანმა ო. ღლონტმა რედაქციას აცნობა:**

შემოწმების შედეგად წერილში „მომხვეჭელები" მოყვანილი ფაქტები მთლიანად დადასტურდა. დამატებით გამოირკვა, რომ მანდარინი, რომლის გატანას რესპუბლიკის ფარგლებს გარეთ ცდილობდნენ, ეკუთვნოდა სოფელ ღრმაღელის მცხოვრებ მახარაძის სამგზავრო ავტოსატრანსპორტო საწარმოს მძღოლს შოთა ივანეს-ძე ჟღენტს. შ. ჟღენტის საკითხი განიხილა ღრმაღელის ციტრუსების საბჭოთა მეურნეობის მოსამსახურეთა კრებამ, რომლის მონაწილეებმა დაგმეს შ. ჟღენტის უღირსი მოქმედება და მიიღეს გადაწყვეტილება მისი წილი საკარმიდამო ნაკვეთის ჩამორთმევის შესახებ.

შ. ჟღენტის შესახებ იმსჯელა აგრეთვე მახარაძის სამგზავრო ავტოსატრანსპორტო საწარმოს დირექციამ და იგი ჩამოაყენა მძღოლობიდან. რაც შეეხება მძღოლებს შ. თ. შეწირულსა და რ. დ. ნაკაიძეს, ადმინისტრაციული ორგანოების მიერ ერთი წლით ჩამოერთვათ მართვის უფლება. მათი უღირსი მოქმედება სუფსის სასოფლო საბჭოს აღმასკომის გაფართოებულ სხდომაზე მკაცრად დაგმეს. რ. ნაკაიძე სასოფლო საბჭოს აღმასკომმა გააფრთხილა, თუ უახლოეს პერიოდში არ ჩაებმება საზოგადოებრივად სასარგებლო შრომაში, მის მიმართ გატარდება კანონით გათვალისწინებული ზომები.

**საქართველოს კომპარტიის სამტრედიის რაიკომი რედაქციას სწერს:**

წერილში მხილებულ სამტრედიის რაიონის სოფელ კულაშის მცხოვრებ გურამ თადუმაძის მიმართ საქმეს იძიებს ონის შინაგან საქმეთა რაიგანყოფილება. გ. თადუმაძის საკითხი რესპუბლიკის ფარგლებს გარეთ ხილის გატანის მცდელობისათვის განიხილა ავტოსატრანსპორტო საწარმოს საერთო კრებამ. იგი დირექციის მიერ გამოძიების დამთავრებამდე მძღოლობიდან გადაყენებულია.

**საქართველოს კპ აბაშის რაიკომის პირველმა მდივანმა ბ. მგელაძემ რედაქციას აცნობა:**

გაზეთში გამოქვეყნებულ წერილთან („მომხვეჭელები") დაკავშირებით აბაშის რაიონის სოფელ პირველ მაისში გაიმართა მშრომელთა კრება, რომელსაც 450-ზე მეტი კაცი დაესწრო. კრებამ დაგმო მურად ნინუას უღირსი საქციელი. მ. ნინუამ აღიარა თავისი დანაშაული და აღუთქვა კრების მონაწილეებს, რომ იგი მსგავს შემთხვევას არ გაიმეორებს, ყოველდღიურად მიიღებს მონაწილეობას საკოლმეურნეო შრომაში.

**საქართველოს კომპარტიის ხობის რაიკომმა გაზეთ „კომუნისტის" რედაქციას აცნობა:**

წერილში („მომხვეჭელები") ხობის რაიკოოპერატივის მიმართ კრიტიკა სავსებით სამართლიანია. შემოწმებით დადგინდა, რომ ხობის რაიკოოპერატივის გამგეობისა და მასთან შემავალი ავტოგარაჟის დირექციის სუსტი კონტროლისა და უპასუხისმგებლობის შედეგად ადგილი აქვს მძღოლთა მიერ პირადი გამორჩენის მიზნით ავტომანქანების გამოყენებას. გარაჟში ირღვევა ავტომანქანების დგომისა და მოვლა-პატრონობის წესები.

რაიკოოპერატივის გამგეობამ ჩადენილი დანაშაულისათვის მძღოლი რომან იროდის-ძე ბუკია სამუშაოდან მოხსნა, გაათავისუფლა აგრეთვე რაიკოოპერატივის ავტოდუქნის მძღოლი ჟორჟ ნოეს-ძე ბუკია, რომელიც არ იცავდა ავტომანქანის ექსპლოატაციის წესებს. ცეკავშირის გამგეობამ ხობის რაიკოოპერატივის თავმჯდომარეს გ. ბუკიას სატრანსპორტო საშუალებათა სუსტი კონტროლისათვის საყვედური გამოუცხადა. სუსტი ხელმძღვანელობისა და უკონტროლობისათვის სავაჭრო განყოფილების გამგეს ქ. გაბრავას საყვედური გამოეცხადა, ავტოგარაჟის უფროსს ბ. ასათიანს მიეთითა.

**საქართველოს საწარმოო გეოლოგიურმა სამმართველომ რედაქციას მოსწერა:**

წერილში აღნიშნულ დანაშაულში მხილებული მძღოლები შ. შალვაშვილი და შ. ნიშნიანიძე მოხსნილი არიან, ამჟამად ისინი ავტომანქანების შემკეთებლებად მუშაობენ. მათი საკითხი განიხილა აგრეთვე საქგეოლოგიის სატრანსპორტო-საექსპლოატაციო კანტორის მუშა-მოსამსახურეთა საერთო კრებამ, რომელმაც დამნაშავე მძღოლების საქციელი სასტიკად დაგმო.

# მსოფლიო დღეს

## მშვიდობა და თანამშრომლობა

### მუშაობა დაამთავრა ევროპის თანამშრომლობისა და უშიშროების კონფერენციამ

ჰელსინკი, 7 თებერვალი. (საკდესი). აქ მუშაობა დაამთავრა ევროპის თანამშრომლობისა და უშიშროების მეორე საპარლამენტთაშორისო კონფერენციამ. მასში მონაწილეობდნენ ევროპის თითქმის ყველა სახელმწიფოს, ამერიკის შეერთებული შტატებისა და კანადის საპარლამენტო ჯგუფების, აგრეთვე მეთვალყურე მთელ რიგ სხვა სახელმწიფოთა დელეგაციები. დახკვნით პლენარულ სხდომაზე მიიღეს რეზოლუციები უშიშროებისა და ეკონომიკის, კულტურის, მეცნიერებისა და განათლების დარგში თანამშრომლობის, შემდგომი საპარლამენტთაშორისო საქმიანობის საკითხებზე.

კონფერენცია ერთსულოვნად მიესალმა დადებით შედეგებს, რომლებიც მიღწეულია ქვეყნის საერთო ევროპის თათბირის მეორე ეტაპზე, და მოუწოდა წევრი ქვეყნების მთავრობებსა და პარლამენტებს მთელი ძალ-ღონე მოახმარონ მის უსწრაფეს და წარმატებით დამთავრებას რაც შეიძლება მაღალ დონეზე.

რეზოლუციაში უშიშროების საკითხებზე აღნიშნულია, რომ ევროპაში დაძაბულობის შენელება, თანამშრომლობა და უშიშროება „დედამიწაზე მშვიდობისა და ხყოფების ქვაკუთხედია". კონფერენციის მონაწილეებმა სურვილი გამოთქვეს, რომ დაძაბულობის შენელება ევროპაში მსოფლიო პროცესად გადაიქცეს.

რეზოლუციაში ეკონომიკური თანამშრომლობის შესახებ იგი დახასიათებულია როგორც დაძაბულობის შენელებისა და საერთაშორისო უშიშროების ერთ-ერთი დიდმნიშვნელოვანი ფაქტორი. კონფერენციამ მოუწოდა პარლამენტებსა და მთავრობებს ხელი შეუწყონ ასეთი თანამშრომლობის განვითარებას თანასწორუფლებიანობის საფუძველზე.

კონფერენციის მონაწილეებმა რწმენა გამოთქვეს, რომ კულტურის, მეცნიერების, განათლების დარგში გაცვლა და თანამშრომლობა, ადამიანებს შორის კონტაქტების გაფართოება და ინფორმაციის გაზიარება ხელს უწყობენ ხალხთა შორის ურთიერთგაგებასა და მშვიდობის განმტკიცებას.

[illegible] საკითხზე დასახულია მთელი რიგი პრაქტიკული ღონისძიებანი, რომლებიც მიზნად ისახავენ ამგვარი თანამშრომლობის გაფართოებას.

სსრ კავშირის საპარლამენტო ჯგუფის დელეგაცია მთლიანად კმაყოფილია კონფერენციის მუშაობის შედეგებით, უთხრა საკდესის კორესპონდენტს დელეგაციის მეთაურმა, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს კავშირის საბჭოს თავმჯდომარემ ა. პ. შიტიკოვმა. ვიმედოვნებთ, თქვა მან, რომ მიღებული გადაწყვეტილებანი ხელს შეუწყობენ უშიშროებისა და თანამშრომლობის საერთო ევროპის თათბირის წარმატებით დამთავრებას, ევროპასა და მთელს მსოფლიოში მშვიდობის განმტკიცებას.

## კ. ვალდჰაიმის განცხადება

[illegible] შაობა. კ. ვალდჰაიმმა აღნიშნა, რომ საჭიროა ამ რაიონში გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ჯარების ყოფნა ხიმშვიდის შესანარჩუნებლად.

იგი საბერძნეთსა და თურქეთში ყოფნის დროს აპირებს განიხილოს კვიპროსის საკითხი.

## კანდიდატურები დასახელდა

[illegible] ირლანდიის საქმეთა ყოფილი მინისტრი უ. უაიტლოუ. პირველ ტურში ე. ჰიტს გაუსწრო მ. ტეტჩერმა — მიიღო პარლამენტის წევრ კონსერვატორთა 130 ხმა, რომლებიც ტრადიციისამებრ ირჩევენ პარტიის ლიდერს.

დასახელებულია აგრეთვე „სო- [illegible] სობა.

თუ ვერც ერთი კანდიდატი აბსოლუტურ უმრავლესობას ვერ მიიღებს, მაშინ მოეწყობა კენჭისყრის მესამე ტური, სადაც მონაწილეობას მიიღებს სამი კანდიდატი, რომლებიც ყველაზე მეტ ხმას მოაგროვებენ.

## ამბები • ფაქტები

**საკდესი და უცხოეთის პრესის სააგენტოები იტყობინებიან**

**ლონდონი** — ბრძოლა კონსერვატიული პარტიის ლიდერის პოსტისათვის

**ლიმა** — საკადრისი პასუხი გასცეს რეაქციულ და კონტრრევოლუციურ ელემენტებს

**ანკარა** — მოითხოვენ სამხედრო დარგში ამერიკა-თურქეთის ურთიერთობის გადასინჯვას

## ინტერვიუ

## ა. კუნიალი: რევოლუციური პროცესი ღრმავდება

პარიზი, 7 თებერვალი. (საკდესი). „პორტუგალია ცხოვრობს და რევოლუციას ახდენს რთულ პირობებში. მოვლენები ვითარდება წინააღმდეგობის, დაძაბულობის ვითარებაში. დღევანდელი ცვლადი რეალობის გაგება ყოველთვის ადვილი როდია", — განაცხადა პორტუგალიის კომუნისტური პარტიის გენერალურმა მდივანმა ალვარო კუნიალმა გაზეთ „ლუმანიტესათვის" მიცემულ ინტერვიუში.

ქვეყნის დემოკრატიზაციის წინააღმდეგ ილაშქრებენ უწინარეს ყოვლისა ფაშისტები, რეაქციონერები, რომლებმაც შეძლეს დღევანდლამდე შეენარჩუნებინათ ბევრი პოზიცია სახელმწიფო აპარატში და აქვთ მნიშვნელოვანი ორგანიზებული პოლიტიკური ძალა, ხაზგასმით აღნიშნა მან. გარდა ამისა, ილაშქრებს მსხვილი მონოპოლისტური კაპიტალი, რომელმაც თავის ხელში შეინარჩუნა ეკონომიური ძალაუფლება და ეწინააღმდეგება ყველა პროგრესულ ღონისძიებას, დეზორგანიზაციას შეაქვს და საბოტაჟს უწევს ეროვნულ ეკონომიკას, და ბოლოს, ილაშქრებენ კონსერვატიული ძალები, რომლებიც თუმცა აცხადებენ დემოკრატიზაციის მხარს ვუჭერთო, მაგრამ მუდმივ და შეუპოვარ, აქტიურ თუ პასიურ წინააღმდეგობას უწევენ რევოლუციურ ღონისძიებებს, რომლებიც მიზნად ისახავენ თავისუფლებების დაცვას, დემოკრატიული სახელმწიფოს განმტკიცებას, ეკონომიური და ფინანსური სტაბილურობის დაცვას. მშრომელებისა და ხალხის მასების ღრმა მისწრაფებათა გათვალისწინებით ყველაზე გადაუდებელი პრობლემების გადაწყვეტას.

მაგრამ ჯერჯერობით მთელმა ამ ძალებმა ვერ შეძლეს ხელი შეეშალათ რევოლუციური პროცესის განვითარებისათვის. ვიმედოვნებთ, რომ მომავალშიც ასე იქნება, განაცხადა პორტუგალიის კომპარტიის გენერალურმა მდივანმა.

ა. კუნიალი შეეხო პორტუგალიის კომპარტიისა და პორტუგალიის სოციალისტური პარტიის თანამშრომლობის საკითხს და აღნიშნა, რომ ამ თანამშრომლობაში არის სიძნელეები. ეს აიხსნება რეალური უთანხმოებებით, რომლებიც ბოლო დროს გაღრმავდა სოციალისტური პარტიის მარჯვენა გადახრის შედეგად.

პორტუგალიის კომპარტიის გენერალურმა მდივანმა დაახასიათა ქვეყნის პოლიტიკურ ცხოვრებაში შეიარაღებული ძალების მოძრაობის როლი და აღნიშნა, რომ შეიარაღებული ძალების მოძრაობა — ეს არის დემოკრატიული რევოლუციური მოძრაობა, მთელი შეიარაღებული ძალების პოლიტიკური ავანგარდი. მან გადამწყვეტი როლი შეასრულა ფაშისტური დიქტატურის დამხობაში და დღემდე ხელს უწყობს დემოკრატიზაციისა და დეკოლონიზაციის პროცესს.

## ჰ. ბუმედიენი: არ დავუშვებთ სუვერენიტეტის ხელყოფას

ალჟირი, 7 თებერვალი. (საკდესი). ნავთობის პოლიტიკა ნავთობის მწარმოებელი ქვეყნების ეროვნული სუვერენიტეტის ელემენტია. ყოველი ცდა თავზე მოახვიონ მათ თავიანთი ბუნებრივი სიმდიდრეების გამოყენების პირობები უნდა განვიხილოთ, როგორც ამ ქვეყნების სუვერენიტეტის ხელყოფა, განაცხადა ალჟირის სახალხო დემოკრატიული რესპუბლიკის რევოლუციური საბჭოს თავმჯდომარემ ჰ. ბუმედიენმა.

ირანელი ჟურნალისტების ჯგუფისათვის აქ მიცემულ ინტერვიუში ალჟირის სახელმწიფოს მეთაურმა აღნიშნა, რომ ნავთობის ექსპორტიორი ქვეყნების ორგანიზაციის თათბირი მაღალ დონეზე, რომელიც ალჟირში თებერვლის დამლევს გაიმართება, განიხილავს როგორც თვით ნავთობმომპოვებელი ქვეყნების პრობლემებს, ისე ნავთობის მწარმოებელი და მომხმარებელი ქვეყნების ურთიერთობის მთელ ეკონომიურ კომპლექსს.

ჰ. ბუმედიენი შეეხო ამერიკის მმართველი წრეების ამასწინანდელ მუქარას არაბული ნავთობმომპოვებელი სახელმწიფოების მიმართ და აღნიშნა, რომ სახელმწიფოთა წინააღმდეგ ნებისმიერ შეიარაღებულ აქციას მიიჩნევენ აგრესიის აქტად ნავთობის ექსპორტიორი ქვეყნების ორგანიზაციის წევრი ყველა ქვეყნის წინააღმდეგ. ამასთან დაკავშირებით მან კვლავ ხაზგასმით აღნიშნა, რომ საჭიროა განხორციელდეს ნავთობის ექსპორტიორი ქვეყნების ორგანიზაციის ყველა წევრის შეთანხმებული პოლიტიკა და შემდგომ განმტკიცდეს მათი სოლიდარობა.

## ურთიერთობა გამწვავდა

### თურქეთ-ამერიკის ურთიერთობის გამო

ანკარა, 7 თებერვალი. (საკდესი). აქ გამოაცხადეს, რომ თურქეთის საგარეო საქმეთა მინისტრმა მ. ესენბელმა უარი თქვა ბრიუსელში ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო მდივანთან ჰ. კისინჯერთან შეხვედრაზე, რაც მას განზრახული ჰქონდა. ანატოლიის სააგენტომ გადასცა ცნობა, რომ ეს უარი გამოწვეულია ამერიკის შეერთებული შტატების კონგრესის გადაწყვეტილებით თურქეთს შეუწყვიტოს ამერიკის სამხედრო დახმარება.

ამასთან დაკავშირებით გაზეთი „ჯუმჰურიეთი" აღნიშნავს, რომ „საჭიროა უფრო რეალისტური პოზიციებიდან გადასინჯოს" თურქეთ-ამერიკის ურთიერთობა. იგი და სხვა გაზეთები არ გამორიცხავენ იმის შესაძლებლობას, რომ თურქეთის მთავრობამ გადასინჯოს ამერიკის შეერთებულ შტატებთან ორმხრივი ურთიერთობა სამხედრო დარგში, კერძოდ მოითხოვოს ამერიკის ზოგიერთი სამხედრო ბაზის ლიკვიდაცია თურქეთში.

„ჯუმჰურიეთი" წერს, რომ თურქეთმა შესაძლებელია განავითაროს თანამშრომლობა იმ პროგრესულ არაბულ ქვეყნებთან, რომლებიც უარყოფენ შეერთებული შტატების იმპერიალისტური წრეების დიქტატისა და შეგავლენის პოლიტიკას.

ვაშინგტონი, 7 თებერვალი. (საკდესი). ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტმა ჯ. ფორდმა გააკეთა განცხადება, რომელშიც ნათქვამია, რომ ამერიკის მთავრობა „მთლიანად შეასრულებს კონგრესის გადაწყვეტილებას". ამავე დროს პრეზიდენტმა განაცხადა, რომ განზრახული აქვს მიაღწიოს ამ გადაწყვეტილების გადასინჯვას, რამდენადაც, მისი თქმით, ამას „ცუდი შედეგები მოჰყვება ამ რაიონის უშიშროებისათვის".

კონგრესის გადაწყვეტილება თურქეთისათვის სამხედრო დახმარების შეწყვეტის შესახებ ძალაში შევიდა 5 თებერვალს. იარაღის მიწოდება, თანახმად ამ გადაწყვეტილებისა, განახლდება მას შემდეგ, რაც თურქეთისა და საბერძნეთის მოლაპარაკებაში კვიპროსის საკითხზე მიღწეული იქნება „არსებითი პროგრესი".

როგორც აქ აღნიშნავენ, უთანხმოება მთავრობასა და კანონმდებლებს შორის ეხება მხოლოდ ამერიკის პოლიტიკის მიზნების მიღწევის მეთოდებს, რომელიც საბოლოო ანგარიშით ამოიწურება მისწრაფებით, რომ კვიპროსის პრობლემა გადაიჭრას ნატოს ფარგლებში. ამავე დროს ვაშინგტონში სურთ აგრეთვე შეინარჩუნონ თურქეთთან ურთიერთობის უწინდელი ხასიათი და ამერიკის შეერთებული შტატების პოზიციები ამ ქვეყანაში.

### თურქეთის ნოტა საბერძნეთს

ანკარა, 7 თებერვალი. (საკდესი). თურქეთის საგარეო საქმეთა მინისტრმა მ. ესენბელმა საბერძნეთის ელჩს ანკარაში გადასცა თავისი მთავრობის ნოტა იმასთან დაკავშირებით, რომ ათენმა წინადადება წამოაყენა ეგეოსის ზღვაში კონტინენტური შელფის საკითხი განსახილველად გადასცეს ჰააგის საერთაშორისო სასამართლოს.

ანატოლიის სააგენტოს ცნობით, ნოტაში აღნიშნულია, რომ „ეგეოსის ზღვასთან დაკავშირებული საარსებოდ დიდმნიშვნელოვანი პრობლემები, რომლებიც უნდა გადაწყვიტონ თურქეთმა და საბერძნეთმა მშვიდობიანი გზით, ჯერ კიდევ გადაუწყვეტელია".

ამასთან ერთად, ნოტაში გამოთქმულია თურქეთის პრინციპული თანხმობა საბერძნეთის წინადადების მიმართ.

## ფოტოინფორმაცია



**ტოვებენ მშობლიურ კერას**

ლიბანის სამხრეთ რაიონების წინააღმდეგ ისრაელის განუწყვეტელი პროვოკაციების შედეგად, რომელთა მსხვერპლიც ხდება ათასობით მშვიდობიანი მცხოვრები, სასაზღვრო რაიონებში ცხოვრების აუტანელი პირობები შეიქმნა. საარტილერიო ცეცხლის დაშენის შედეგად თითქმის სრულიად დაინგრა სოფელი კფარშუბა. ისრაელთა ახალი აგრესიული აქტების შიშით მოსახლეობა იძულებულია სახლ-კარი დატოვოს.

სურათზე: სოფელ კფარ-შუბას მცხოვრებთა ევაკუაცია.

საკდესის ფოტო.

## პერუ: რეაქციის ცდები ჩაიფუშა

ბოგოტა, 7 თებერვალი. (საკდესის კორ.). რევოლუციური მთავრობის მტკიცე მოქმედების წყალობით პერუში ჩაიფუშა რეაქციისა და კონტრრევოლუციური ელემენტების ცდა, რომ ხელი შეეშალათ პროგრესული სოციალურ-ეკონომიური გარდაქმნების წარმატებით განხორციელებისათვის. ამ ძალების მიერ პროვოკაციულად გამოწვეული არეულობის ლიკვიდაციის მიზნით მთავრობამ საგანგებო წესები შემოიღო ქვეყნის მთელ ტერიტორიაზე და დააწესა კომენდანტის საათი. პერუს დედაქალაქსა და მის გარეუბნებში არმიის ქვედანაყოფები სავსებით უწევენ კონტროლს მდგომარეობას. ქვეყნის სხვა რაიონებში, სადაც რეაქციამ ვერ შექმნა კრიზისული ვითარება, კვლავ სიმშვიდეა.

მორიგი კონტრრევოლუციური გამოხდომისათვის გამოიყენეს პოლიციის უმნიშვნელო ნაწილის უკანონო გაფიცვა, რომელიც ეკონომიურ მოთხოვნათა დაკმაყოფილებისათვის ბრძოლის საბაბით აპირებდა გამოეწვია საყოველთაო ქაოსი. რეაქციულმა ძალებმა თავიანთი ძირგამომთხრელი მიზნებისათვის ისარგებლეს ამ გაფიცვით, გამოიწვიეს არეულობა ლიმაში. სპეციალურად მომზადებული კონტრრევოლუციური ჯგუფები არბევდნენ სახელმწიფო დაწესებულებებს, ძარცვავდნენ მაღაზიებს, ცეცხლს უკიდებდნენ გაზეთების რედაქციებსა და ავტომანქანებს, თავს ესხმოდნენ მოქალაქეებს, რომლებიც ცდილობდნენ წინააღმდეგობა გაეწიათ მათთვის. არიან დახოცილნი და დაჭრილნი, მთლიანად დაიწვა გაზეთების „კორეოსა" და „ოხოს" შენობები, მთელ რიგ დაწესებულებებს მნიშვნელოვანი ზარალი მიაყენეს.

მთავრობა, რომელმაც მხედველობაში მიიღო შექმნილი რთული ვითარება იძულებული გახდა განეხორციელებინა ყველაზე ენერგიული ღონისძიებანი, არმიის ქვედანაყოფებმა ჩაახშეს კონტრრევოლუციური ელემენტების გამოსვლები და მოსახლეობის მხარდაჭერით დედაქალაქში აღადგინეს წესრიგი.

პერუს პრესა აანალიზებს ლიმაში უკანასკნელი დღეების მანძილზე მომხდარ ამბებს და ხაზს უსვამს რომ მათი ორგანიზატორები და სულისჩამდგმელები არიან იმპერიალიზმი, ოლიგარქია, კონტრრევოლუციური სახალხო პარტია. „ეს უწინარეს ყოვლისა არიან ისინი, — ნათქვამია გაზეთ „პრენსას" მოწინავე სტატიაში, — ვისაც რევოლუციამ წაართვა პრივილეგიები. პერუელი ხალხის მტრებმა, რომლებიც მოქმედებენ იმპერიალიზმის შავბნელ ძალებთან და მის მარჯვენა ხელთან — ცენტრალურ სადაზვერვო სამმართველოსთან ერთად, სცადეს გაემეორებინათ პერუში „ჩილეს ვარიანტი", ძირი გამოეთხარათ პროგრესული წრეების ერთიანობისათვის და მოესპოთ რევოლუციური მონაპოვრები".

„კრონიკა", „კომერსიო" და მასობრივი ინფორმაციის სხვა საშუალებანი აღნიშნავენ, რომ მთავრობის მტკიცე მოქმედებას დიდი კმაყოფილებითა და მოწონებით შეხვდნენ.

### სენატორის გადაწყვეტილება

ვაშინგტონი, 7 თებერვალი (საკდესი). სენატორმა გ. ჯექსონმა (ვაშინგტონის შტატი) გამოაცხადა, რომ იბრძოლებს 1976 წლის არჩევნებში დემოკრატიული პარტიისაგან ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტის პოსტზე თავისი კანდიდატურის დასახელებისათვის.

## ადამიანი და კოსმოსი

## ვარსკვლავთა ეკიპაჟის ბედნიერება

[illegible]

[illegible] სადგურის ეკიპაჟი მეორე ნახევარსფეროში დაფრინავს, მასთან კავშირს ამყარებს სამეცნიერო ხომალდის „აკადემიკ სერგეი კოროლიოვის" სპეციალისტთა რაზმი.

მისი კაპიტანი ბორის ნიკოლოზის-ძე ბორისოვი და ექსპედიციის ხელმძღვანელები ხალისით უპასუხებენ ყველა კითხვაზე, რომლებიც გადავეცით მათ ხომალდზე. „ლაპარაკობს „აკადემიკ სერგეი კოროლიოვი", — ოპერატორის ხმა ისე გარკვევით გვესმის, თითქოს 100 ათასამდე კილომეტრი არ გვაშორებდეს. არა და, სწორედ ეს მანძილი, კავშირგაბმულობის თანამგზავრ „მოლნიას" საშუალებით უნდა გაიარონ ჩვენი საუბრის სიტყვებმა: „რატომ ვდგავართ ატლანტიკაში, კანადის სეიბლის კუნძულთან? — იმიტომ, რომ სწორედ ამ ზონაზე მოდის სადგურის ჩვენი ქვეყნის ტერიტორიიდან უხილავი მეტი წილი გარშემოვლა".

დიახ, ისეთ რთულ პროგრამაში, რომელსაც გუბარევი და გრეჩკო ასრულებენ, „ყრუ" გარშემოვლა არ უნდა იყოს — მათთან კავშირის თვითეულ სეანსს მოელიან არა მარტო მეცნიერები, არამედ სპეციალისტებიც, რომლებიც ცდიან კოსმოსური ფრენის ახალ ტექნიკას.

„ჩვენ, — განაგრძეს „აკადემიკ სერგეი კოროლიოვის" სპეციალისტებმა, — ატლანტიკაში უკვე თვენახევარია ვართ, ზუსტად იმდენი, რამდენიც გავიდა „სალუტ-4" ორბიტული სადგურის სტარტიდან. აქედან უკვე მეოთხე კვირაა ვმუშაობთ ეკიპაჟთან. მართალია, ჩვენი დაძაბული კოსმოსური გახტი მხოლოდ 6-7 გარშემოვლას (9-10 საათს) მოიცავს, მაგრამ ხომალდზე არც ერთი წუთით არ ჩერდება ცხოვრება.

თუმცა, ისეთი საოკეანო გიგანტი, როგორიცაა „აკადემიკ სერგეი კოროლიოვი" (მის გემბანზე ორი ფეხბურთის მოედანი დაეტეოდა), სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის საექსპედიციო რაზმში რამდენიმეა, ორი მათგანი „კოსმონავტი იური გაგარინი" და „კოსმონავტი ვლადიმერ კომაროვი" ახლა დგანან ნავსადგურებში, სადაც ემზადებიან კოსმოსური ვახტისათვის, რომელსაც დაიწყებენ ივლისში „სოიუზ" და „აპოლონ" ხომალდების ერთობლივი ფრენის დროს.

ატლანტიკის მეორე ნაწილში კი, სამხრეთ ამერიკის ნაპირებთან მუშაობენ „ნეველისა" და „რისტნის" ხომალდების ეკიპაჟები. ჯერჯერობით მათი ანტენები, როგორც აქ ამბობენ, თვალთვალის რეჟიმშია, ხოლო როცა დადგება გუბარევისა და გრეჩკოს ვარსკვლავური რეისის დამთავრების დრო, ისინი იქცევიან წამყვან რადიორგოლად ფრენის დამამთავრებელ უბანზე.

ფრენის მართვის საათის მექანიზმივით აწყობილ მეურნეობაზე დიდხანს შეიძლება ლაპარაკი. მაგრამ ამ ფრენის მიწისზედა შტაბის შესაძლებლობებს ყველაზე მკაფიოდ ახასიათებენ საკომანდო-გასაზომი კომპლექსის წამყვანი ინჟინრის სიტყვები. ჩვენი სპეციალისტების მიწისზე- [illegible] პროგრამის მეორე [illegible] ლოტირებული ხომალდის ფრენა.

სადგურში ეკიპაჟი მუშაობის 27-ე დღის პროგრამის ერთ-ერთი პუნქტი ფრენის ხელმძღვანელის ჟურნალში აღინიშნა მოკლე შიფრით „პრესა-7 წ". პრესა — ეს ჩვენ, ფრენის მართვის ცენტრში აკრედიტებული ცენტრალური გაზეთების, საინფორმაციო სააგენტოების, ტელევიზიისა და რადიოს ჟურნალისტები ვართ, ხოლო „7 წ" — ეს არის დღეს სადგურთან პრეს-კონფერენციისათვის გამოყოფილი შვიდი წუთი. ოპერატორი გვაძლევს „გარნიტურს" — მიკროფონიან საყურისს, და „პრესორბიტის" დიალოგი იწყება. — რამ მოახდინა ყველაზე დიდი შთაბეჭდილება თქვენზე ფრენის დროს?

გუბარევი: მეორე დღე-ღამეს, როცა გიორგი მიხეილის-ძესთან ერთად გადავედი „სალუტში" და დავინახე უზარმაზარი ლაბორატორია, სადაც ნამდვილი მუშაობა შეიძლება.

გრეჩკო: სავსებით ვეთანხმები ალექსის — ეს შესანიშნავი დღე იყო. მინდა მხოლოდ დავძინო, რომ განუმეორებელი წუთები განვიცადე კიდევ ილუმინატორთან, როცა ვაკვირდებოდი პლანეტის პეიზაჟებს. სიტყვა არ მყოფნის, აი როცა რომელიმე ჟურნალისტი კოსმოსში გაფრინდება, მაშინ შეიძლება აღწეროს, რაოდენ ბრწყინვალე სანახაობაა ეს. დილით ჩემი პირველი სურვილია მივიდე ილუმინატორთან.

— მრავალი სამეცნიერო ექსპერიმენტიდან რომელი უფრო მოგწონთ?

გრეჩკო: ჩვენ ძალიან ბევრი სამეცნიერო ხელსაწყო გვაქვს. ზოგიერთი მათგანი ავტომატურად მუშაობს, ზოგს კი ჩვენ ვეხმარებით. მაგრამ არის ხელსაწყოები, რომლებიც მთელ ჩვენს ცოდნას, გამოცდილებას, დაკვირვების უნარს, გულმოდგინე შრომას მოითხოვენ — ეს არის რენტგენული და მზის ტელესკოპები.

კითხვაზე, „რომელი სპორტული იარაღი მოსწონს განსაკუთრებით ეკიპაჟს ორბიტულ მიკროსტადიონზე?", გიორგი გრეჩკომ გვიპასუხა: მოძრავი ბილიკი — მივდივარ ამ ბილიკზე, თვალს დავხუჭავ და გგონია, დედამიწაზე დავდივარ...

„დედამიწაზე დავდივარ" — თავისი პლანეტის პატრონი ადამიანის ასეთივე გრძნობები გაგვიზიარა ოდესღაც იური გაგარინმა. რომელმაც პირველმა დაინახა დედამიწა კოსმოსური სიმაღლეებიდან. დღეს „სალუტ-4" სადგურის ვარსკვლავთა ეკიპაჟი ყველას მოგვაგონებს, რა დიდი ბედნიერებაა დადიოდე დედამიწაზე, სწავლობდე და აშენებდე მას. ყველა საბჭოთა ადამიანს ვუსურვებთ, რომ ახდენოდეთ ყველაზე სანუკვარი ოცნებები ისევე, როგორც დღეს ახდა ჩვენი ოცნებები, თქვენს კოსმონავტებმა.

**ნ. ჟელეზნოვი,**
საკდესის სპეც. კორ.

ფრენის მართვის ცენტრი.

## „არაქსი": დამამთავრებელი ეტაპი

დაიწყო დედამიწისირგვლივ კოსმოსურ სივრცეში საბჭოთა კავშირ-საფრანგეთის უნიკალური მეცნიერული ექსპერიმენტის მეორე ეტაპი, რომელიც ხორციელდება „არაქსის" პროექტით მაგნიტურშეუღლებულ რაიონებში — კერგელენის კუნძულზე (ინდოეთის ოკეანე) და არხანგელსკის ოლქში. იგი შეისწავლის დედამიწისირგვლივ სივრცეში იმ ფიზიკური პროცესების, და კერძოდ პოლარული ნათების ბუნების კვლევას, რომელთა შესწავლას დიდი პრაქტიკული მნიშვნელობა აქვს. „რადიოამინდის" პროგნოზირება, და ამით ჩვენი პლანეტის მაღალ განედებზე საიმედო, მყარი რადიოკავშირის უზრუნველყოფა ბევრადაა დამოკიდებული ამ გამოკვლევებზე.

საბჭოთა და ფრანგმა მეცნიერებმა შეაჯამეს ექსპერიმენტის პირველი შედეგები, გაუზიარეს ერთმანეთს აზრი, შეიტანეს კორექტივები მეორე ეტაპის პროგრამაში.

— დედამიწისირგვლივი კოსმოსური სივრცის, დედამიწის მაგნიტური ველის, ატმოსფერული ნათების ფიზიკას საბჭოთა კავშირ-საფრანგეთის თანამშრომლობის ფარგლებში უკვე რამდენიმე წელია სწავლობენ, — განაცხადა ფრანგ მეცნიერთა ჯგუფის მეცნიერულმა ხელმძღვანელმა, პროექტ „არაქსის" ერთ-ერთმა ავტორმა პროფესორმა ფ. კამბუმ.

მსურს აღვნიშნო, ხაზი გაუსვა ფ. კამბუმ, თანამშრომლობის გულწრფელი სულისკვეთება, რომელსაც საბჭოთა სპეციალისტებთან ერთობლივი მუშაობის დროს ვგრძნობთ, მეგობრული ვითარება, ურთიერთგაგება, ჩვენს მეცნიერებს ჭეშმარიტ კმაყოფილებას ანიჭებს მჭიდრო კონტაქტით იმუშაონ საბჭოთა სპეციალისტების ერთსულოვან კოლექტივთან, რომელსაც აკადემიკოსი რ. ზ. საგდეევი და პროფესორი ი. ა. ჟულინი ხელმძღვანელობენ.

კარგად გავეცანით ჩრდილოელთა ყოფა-ცხოვრებას, უძველესი ძეგლების სილამაზეს, რომლებსაც საბჭოთა კავშირში საგულდაგულოდ იცავენ. ჩვენ მოგვეცა საშუალება დაგვეთვალიერებინა არხანგელსკის ხის ჩრდილოური ხუროთმოძღვრების ნაკრძალ-მუზეუმი. საბჭოთა სპეციალისტებთან ერთად ვისვენებთ, ვაწყობთ სხვადასხვა ტურნირსა და სპორტულ შეჯიბრებას. ერთი სიტყვით, ყველაზე გულთბილი, მეგობრული ურთიერთობა გვაქვს.

ამას წინათ საფრანგეთისა და საბჭოთა კავშირის ხალხთა მეგობრობის, თანამშრომლობის განვითარებასა და განმტკიცებაში შეტანილი დიდი წვლილისათვის და დაარსების 30 წლისთავთან დაკავშირებით „საფრანგეთ-სსრ კავშირის" საზოგადოებას გადაეცა ხალხთა მეგობრობის ორდენი. დიდად ვაფასებთ საბჭოთა მთავრობის ამ აქტს, ხოლო საბჭოთა კავშირ-საფრანგეთის ერთობლივი ექსპერიმენტის „არაქსის" განხორციელება მივაჩნია ორი ქვეყნის ხალხთა სულ უფრო მზარდი თანამშრომლობის ერთ-ერთ მკაფიო დადასტურებად. (საკდესი).

## ქვის ჯუნგლებში

## განგმირული ბავშვობა

დაკრძალვა კათოლიკურ კვარტალში. ასაფლავებენ ულტრამემარჯვენეთა ბანდის „წითელი ხელის" სულ ცოტახნისწინანდელი თავდასხმის მსხვერპლთ. კუბოთა შორის ერთი ბავშვის კუბოა. იგი ბავშვის მამას გულზე მიუკრავს და ისე მიაქვს.

ბავშვები ოლსტერის დრამის მონაწილენი და მსხვერპლნი არიან. ბავშვი რომ იყო, ეს აქ იმას ნიშნავს, რომ შენთვის უცხო იყოს, თუ რა არის ნამდვილი ბავშვობა. ჯერ წიგნის ანბანი არც კი უსწავლიათ და ბავშვები უკვე სწავლობენ ქუჩის შეტაკებების, ღამის ჩხრეკისა და დაპატიმრების ანბანს, ხედავენ როგორ იღუპება ხალხი, როგორ აფეთქებენ სახლებს...

— ტელევიზორს ვუცქეროდით— გვიამბობს მისის მაკგინესი, 13 წლის ჯოს დედა — როცა ბიჭმა მოირბინა და ფული მთხოვა შემწვარი კარტოფილისათვის. მივეცი და წავიდა. ერთი საათის შემდეგ კი გავიგე, ჯო ქუჩაში სისხლისგან იცლებაო. იმ დღესვე მოკვდა.

ჯო მაკგინესს გამვლელი ავტომანქანიდან ესროლეს. იგი ავტომატის ჯერით დაცხრილეს.

მისის მაკდერმოტმა, რომელმაც დაკარგა რწმენა, რომ პოლიცია მისი შვილის მკვლელს იპოვნიდა. პრესაში თავისი ტელეფონის ნომერი გამოაქვეყნა და ყველას სთხოვდა, თუ ამ ბოროტმოქმედების შესახებ ვინმემ დაწვრილებით იცით რამე, დამირეკეთო.

ათი წლის ბრაიან მაკდერმოტი ორშაბათს სახლიდან გაქრა. შაბათს მდინარე ლაგანში ბავშვის გვამი იპოვნეს. სახე დამწვარი ჰქონდა, ორივე ფეხი და ერთი ხელი — მოკვეთილი. ბრაიანის სასკოლო სახელმძღვანელოს ყდაზე ამოტვიფრული თითების მიხედვით შესაძლებელი გახდა იმის დადგენა, რომ მოკლული სწორედ ის იყო.

მტრობის ორი თემისას — კათოლიკურისა და პროტესტანტულისას — მტრობას, ინგლისის მიერ ასეული წლობით გაღვივებულს, ბავშვები უშუალოდ გრძნობდნენ და ალიქვამდნენ. „მე რომ პრემიერ-მინისტრი ვიყო — წერს თავის სასკოლო თხზულებაში 12 წლის კათოლიკე ბავშვი — ირლანდიის რესპუბლიკის არმიას მივცემდი, ავკრძალავდი იუნიონისტთა პარტიას, მოვკლავდი პეისლის". მისი პროტესტანტი თანატოლის აზრით, საჭიროა: გადაასახლონ ოლსტერიდან ყველა, ვინც უწესრიგობას ქმნის, და ხელისუფლების სათავეში კარგი ორანჟისტები დასხან, ბერნადეტა დევლინი კი სიკვდილით დაისაჯოს სახელმწიფოს ღალატისათვის".

სოციოლოგები, ოლსტერის დრამას რომ განმარტავენ, იყენებენ „ტრაიბოლიზმის" ცნებას, რომელიც გვარეულობას ნიშნავს. ოლსტერის ბავშვები არ ფარავენ თავიანთ „ტომობრივ კუთვნილებას". დერის სკოლებში კვლევის შედეგად გამოირკვა, რომ ახალგაზრდა კათოლიკეები თავიანთ ქალაქს ერთსულოვნად დუბლინს უწოდებდნენ, პროტესტანტები კი — ბელფასტს. როცა იმათაც და სხვებსაც სთხოვეს ქალაქის ყველაზე საუკეთესო მოქალაქეები დაესახელებინათ, კათოლიკეებმა მხოლოდ კათოლიკეები დაასახელეს, პროტესტანტებმა კი — მხოლოდ და მხოლოდ პროტესტანტები. კათოლიკური სკოლების სახელმძღვანელოებში ირლანდიის ისტორია მოთხრობილია როგორც კოლონიზატორების წინააღმდეგ ბრძოლა, პროტესტანტთა სკოლებში კი იგივე რამ „ბრიტანეთის ძლიერების განმტკიცებად" არის მონათლული.

დოქტორი ჰიუ ლაიონსი — ბელფასტელი ფსიქიატრი — წერს, იმათი ფსიქიკა, ვინც ახლა 13 წლისაა, ხოლო მაშინ, როცა ოლსტერის ამბები დაიწყო, 8 წლისა იყო, ომიანობის დროს ძალადობის ყოველდღიური აქტების გავლენით ჩამოყალიბდა. მედიკოსი წინასწარმეტყველებს: „ეს ძალადობის ეპოქა მას შემდეგაც კი არ დამთავრდება, როცა პოლიტიკური რეგულირება, ბოლოსდაბოლოს, მიღწეულ იქნება", რატომ? იმიტომ, რომ ხუთი წლის კრიზისმა ახალგაზრდობის ფსიქიკა თითქმის გამოუსწორებლად დაამახინჯა.

მაგრამ, რა თქმა უნდა, ოლსტერის ბავშვთათვის ტერორის მთავარი სიმბოლო ინგლისელი ჯარისკაცი გახდა, რომელსაც დაწინწკლული საპარაშუტო ფორმა აცვია და ხელში ავტომატური შაშხანა უჭირავს, ის შიშსაც აღძრავს და სიძულვილსაც.

— არ მინდა, რომ ჯარისკაცებმა მომკლან, — ეუბნება პატარა, ორიწლინახევრის ბავშვი თავის დედას — არ მინდა! არ მინდა, რომ ჯარისკაცებმა მომკლან!

მე ვნახე დერში როგორ ესეოდნენ ბავშვები ჯავშნოსან მანქანას, რომელიც სამხედრო ყაზარმის ჭიშკარს იყო ამოფარებული. ქვა სეტყვასავით ცვიოდა ჯავშანზე. ბავშვები დიდებივით უშიშრად იგინებოდნენ. პასუხად სროლა გაისმოდა. რეზინის ტყვიებს სველ ბალახში ჭყაპა-ჭყუპი გაჰქონდა.

და ასე გრძელდებოდა საათი, ორი საათი, სამი საათი... იქვე დერში ვნახე 12 წლის ჯონ მური, რომელიც რეზინის ტყვიით დაჭრათ და დაბრმავებულიყო.

— რეზინის ტყვია თავში მომხვდა—გვიამბობს 15 წლის მოსწავლე გოგონა—თუმცა არავის არაფერს ვუშავებდი, ისე, ჩემთვის მივდიოდი ქუჩაში, ისინი თავში ესვრიან, თუმცა ნაბრძანები აქვთ, ფეხებში ესროლონ. ისინი გვიმიზნებენ და უშვერი სიტყვებით მოგვმართავენ. რა აზრი აქვს ქვა ვესროლოთ შეიარაღებულ ჯარისკაცებს? მაგრამ ჩვენთვის ხომ ეს ერთადერთი საშუალებაა, რათა დავანახოთ მათ ჩვენი ზიზღი იმის გამო, რასაც სჩადიან. ეს ერთადერთი საშუალებაა ვუთხრათ მათ, რომ ჩვენ ვარსებობთ და გვაქვს ჩვენი უფლებები, ასე ვიძიებთ შურს.

...გაწამებული, განგმირული ბავშვობა... თაობა, რომელიც ტყვიების ზუზუნსა და აფეთქებათა ხმაურში გაიზარდა. ვინ აგებს პასუხს ამის გამო? სად არის ოლსტერის კრიზისის ჩიხიდან თავის დაღწევის გზა, კრიზისისა, რომლის სათავეა პროვინციის კათოლიკე უმცირესობის რბევა, ბრიტანეთზე მისი ნახევრადკოლონიური დამოკიდებულება? ამ კითხვების პასუხს ვერ იპოვნით ლონდონელი პოლიტიკოსების განცხადებებში. ჩრდილოეთ ირლანდიაში საკონცენტრაციო ბანაკებში ტუსაღებს ისევ მხეცურად გამოუძიებლად და გაუსამართლებლად ჰყრიან. აქ ისევ გზავნიან ჯარებსა და აძლიერებენ ადგილობრივ პოლიციას. და ახლაც ისევე, როგორც წინათ, დაშინებასა და ტერორზე დაყრდნობა უფრო ამწვავებს უამისოდაც რთულ სიტუაციას.

**ე. ჩეპოროვი,**
სახ-ის სპ. კორ.

ლონდონი.





# ბაკურიანის თოვლიან ბილიკებზე

საქართველოს ზამთრის დედაქალაქად აღიარებული ბაკურიანი მუდამ მრავლად იზიდავს სპორტსმენებსა თუ დამსვენებლებს.

სურათებზე: ბაკურიანის ხედი (ზემოთ); წუთიც და სპორტსმენი კოხტა გორაზე მოექცევა (მარცხნივ); მოსკოველი სტუდენტები ნ. დოლუენკოვა და ა. ეგოროვი (შუაში); მოთხილამურეებს ძალიან მოსწონთ ეს ორიგინალური ქოხი (მარჯვნივ).

ბ. ბერსამიას, ფ. კრიმსკისა (საქინფორმის ფოტოქრონიკა) და ლ. ხერხეულიძის ფოტო.





# ბარათი სირიიდან

ზესტაფონი. (საკ. კორ.). რაიონულმა გაზეთმა „ლენინელმა" დაბეჭდა კორესპონდენცია, რომელიც იუწყება:

„იმ სპეციალისტთა შორის, რომლებმაც ნდობა, სიყვარული და აღიარება მოიპოვეს უცხოეთში, არის ზესტაფონის რაიონის მკვიდრი ლევან ყანჩაველი.

ლევან ყანჩაველი, საქართველოს სსრ მელიორაციისა და წყალთა მეურნეობის სამინისტროს ინსტიტუტ „გრუზგიპროვოდხოზის" სპეციალისტთა ერთ ჯგუფთან ერთად, ახლა სირიის არაბთა რესპუბლიკაში იმყოფება და არაბ მეგობრებს, როგორც გამოცდილი მბურღავი ეხმარება წყლის რესურსების ძიებაში, რათა შემუშავდეს წყლის რესურსების კომპლექსური გამოყენების გენერალური სქემა.

ამ დღეებში სირიის არაბთა რესპუბლიკიდან ზესტაფონში სასიხარულო ცნობა მოვიდა: სსრ კავშირის ელჩმა სირიის არაბთა რესპუბლიკაში ბრძანებით მადლობა გამოუცხადა ბურღვის უფროს ოსტატს ლ. ყანჩაველს.

სამადლობელი ბარათი მიიღო ზესტაფონის რაიონის ხელმძღვანელობამ სირიის არაბთა რესპუბლიკაში ლ. ყანჩაველის წარგზავნისათვის.

# აუდიტორიები კვლავ ახმაურდა

## დასრულდა სტუდენტთა ზამთრის არდადეგები

გუშინ, 7 თებერვალს, რესპუბლიკის უმაღლეს სასწავლებლებში კვლავ განახლდა მეცადინეობა. უკან დარჩა ხალისიანად გატარებული დღეები. სტუდენტთა უმრავლესობამ ბორჯომის თვალწარმტაც ხეობას მიაშურა და ბაკურიანში გაიკაჟა ორგანიზმი. ნაწილმა კი მოგზაურობა აირჩია.

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის თვითმოქმედი კოლექტივი—კამერული ორკესტრის, მოცეკვავეებისა და საესტრადო ჯგუფის შემადგენლობით ვილნიუსსა და კაუნასს ეწვია. უნივერსიტეტელმა სპორტსმენებმა, კერძოდ, კალათბურთელებმა და ხელბურთელებმა კი ამხანაგური მატჩები გამართეს ტალინსა და კაუნასში.

თბილისის პუშკინის სახელობის პედაგოგიური ინსტიტუტის სტუდენტთა ერთი ჯგუფი ლენინგრადს ესტუმრა. აქ მათ დაათვალიერეს პუშკინის ცხოვრებასა და მოღვაწეობასთან დაკავშირებული ადგილები. მდიდარი შთაბეჭდილებებით დაბრუნდნენ მოგზაურობიდან ამავე ინსტიტუტის სტუდენტები — ისინი, ვინც შრომითს სემესტრში თავი ისახელა; მათ ტურისტული „მეგობრობის" მატარებლით იმოგზაურეს უკრაინის ქალაქებში მარშრუტით: კიევი-ხერსონი-ვოლგოგრადი-ოდესა-სევასტოპოლი. ამავე მარშრუტით იმოგზაურეს თბილისის უცხო ენათა ინსტიტუტის სტუდენტებმაც.

საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის სტუდენტები იყვნენ მოსკოვში, სადაც მომავალ ინჟინრებს მასპინძლობდნენ ბაუმანელები.

რ. მუხიგულაშვილი.

თოთხმეტი წლის წინათ შეიქმნა სოხუმის შელაქის საცდელი სადგური. მის გახსნას წინ უძღოდა სათანადო მოსამზადებელი საცდელი სამუშაოები, რომელიც სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის ვ. კომაროვის სახელობის საკავშირო ბოტანიკური ინსტიტუტის ინიციატივით დაიწყო. აფხაზეთში ეს სამუშაოები მიმდინარეობდა ადგილობრივ საკარანტინო ლაბორატორიაში მისი დირექტორის, სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა კანდიდატის ა. პროკოპენკოს ხელმძღვანელობით.

შელაქი ძვირფასი ნატურალური პროდუქტია. მისგან ამზადებენ მაღალხარისხოვან ლაქსაღებავებს, რომლებსაც მრეწველობისა და სახალხო მეურნეობის მრავალ დარგში იყენებენ. იმის გამო, რომ ქიმიურად შელაქის სინთეზირება დღემდე ვერ შეძლეს, მასზე მოთხოვნა მთელ მსოფლიოში, მათ შორის ჩვენს ქვეყანაშიც, ძალიან დიდია. ბუნებრივ პირობებში შელაქს აწარმოებენ პაწაწინა მწერები, რომლებიც სახლდებიან და ცხოვრობენ მცენარე „მასპინძელზე". ლაქის ცრუფარიანები, ასე ეწოდება იმ მწერებს, რომლებიც გამოყოფენ ფისს შელაქის მისაღებად, გავრცელებულია ტროპიკული აზიის ქვეყნებში.

რამდენიმე წლის საცდელმა მუშაობამ დაადასტურა, რომ აფხაზეთში ზაფხულის პერიოდში შესაძლებელია ნატურალური შელაქის მიღება. მაგრამ ეს ყველაფერს როდი ნიშნავდა. საჭირო იყო ლაქის ცრუფარიანების ახალ პირობებში აკლიმატიზირება.

სოხუმის საცდელ სადგურში, რომელიც შემდგომ საქართველოს მცენარეთა დაცვის ინსტიტუტს გადაეცა, პირველ ხანებში მეცნიერ-მუშაკთა მცირე ჯგუფი ნაყოფიერ და საინტერესო მუშაობას ეწეოდა ამ ახალ, მაგრამ მეტად პასუხსაგებ საქმეში.

შეისწავლეს ლაქის ცრუფარიანას განვითარების ბიოლოგიური თავისებურებანი და მისი გამრავლების ტექნოლოგია. დადგინდა ამ მწერის უკეთესი მკვებავი მცენარეები. ასევე შეისწავლეს მწერის ძირითადი მტაცებლები და პარაზიტები. მუშავდებოდა აგრეთვე შელაქის წარმოების ქიმიისა და ტექნოლოგიის საკითხები.

სამამულო შელაქის პრობლემებზე გამოქვეყნდა ბევრი სამეცნიერო ნაშრომი, შეიქმნა დოკუმენტალური კინოფილმიც, მრავალმა მუშაკმა სამეცნიერო ხარისხი დაიცვა.

ყველაფერმა ამან ხელი შეუწყო და ჯერ კიდევ 1965 წლისათვის მიიღეს ახალი სამამულო ლაქის საცდელი წლიური 100 კილოგრამის ოდენობით. ლაქის პროდუქციამ, რომელიც ჩვენი ქვეყნის მთელ რიგ სამრეწველო ობიექტებსა და სამეცნიერო დაწესებულებებს გამოსაცდელად გაეგზავნა, მაღალი შეფასება მიიღო. ეს პროდუქტი არა მარტო არ ჩამორჩებოდა საჭირო სტანდარტს, არამედ ზოგიერთი მაჩვენებლით საზღვარგარეთიდან შემოტანილზე უკეთესიც იყო. სწორედ ამიტომ სამრეწველო საწარმოები და სამეცნიერო ორგანიზაციები დაჟინებით თხოულობდნენ სამამულო შელაქის წარმოების გაფართოებას.

საჭირო შეიქნა დახურული გრუნტის მოწყობა სადედე მასალის გამოსაყვანად.

ეს გარემოება ცნობილი იყო ჯერ კიდევ საცდელი სადგურის შექმნამდე. ამ მიზნით აშენდა ორი სათბური. საჭირო იყო დახურული გრუნტის ისეთი სისტემის შემუშავება, რომელიც მაქსიმალურად გააიაფებდა სადედე მასალის მიღებას. ეს იყო სადგურის შემდგომი მუშაობის ამოცანა.

სწორედ ამ დროს იჩინა თავი მეცნიერ-მუშაკთა აზრის სხვაობამ და წინააღმდეგობებმა. ეს ჩვეულებრივი და კანონზომიერი მოვლენა უნდა ყოფილიყო, თუ დავა კეთილსინდისიერად წარიმართებოდა. მაგრამ...

ექსპერიმენტები, რასაკვირველია, არსად იოლად არ ეწყობა. შელაქი ხომ სულ ახალი საქმეა და საჭირო ხდება დამოუკიდებლად, სრულიად უცნობი ბილიკით სიარული. მაგრამ სამწუხაროდ დავა აქ თანდათან კონფლიქტში გადაიზარდა.

1966 წლის ბოლოს საკავშირო ბოტანიკური ინსტიტუტის მასალების საფუძველზე მიღებული იქნა გადაწყვეტილება სოხუმის საცდელ სადგურში სამამულო შელაქის პროდუქციის წარმოების გადიდების შესახებ. ამ საკითხისათვის საფუძველი მოამზადა ინსტიტუტის მუშაკმა, შელაქის დარგში მუშაობის ერთ-ერთმა ინიციატორმა, ბიოლოგიის მეცნიერებათა დოქტორმა ნ. შარაპოვმა. მას აქტიურად უჭერდა მხარს ბიოლოგიის მეცნიერებათა კანდიდატი, სოხუმის შელაქის საცდელი სადგურის ქიმია-ტექნოლოგიის განყოფილების ყოფილი გამგე ა. ბჟალავა.

ნ. შარაპოვი, ა. ბჟალავა და მათი თანამგრძნობი პირები საჭიროდ თვლიდნენ და საკითხს აყენებდნენ შელაქის წარმოების გაფართოების შესახებ. უამისოდ შელაქის საცდელი სადგურის არსებობა უაზრობად მიაჩნდათ. ამასთან ერთად ისინი ამ მიმართულებით მთელი რიგი პრაქტიკული ღონისძიებების განხორციელებას მოითხოვდნენ. სადგურის დირექტორი ნ. ქაჩიბაია და მისი თანამშრომლები კი საწინააღმდეგო აზრის იცავდნენ. [illegible]

# როგორ უმასპინძლეს „მასპინძელას"

## დაუსრულებელი კონფლიქტი ერთ სამეცნიერო დაწესებულებაში

ახდენდა სათანადო გავლენას, სულ სხვა გზა აირჩია. პირველ რიგში მან ნ. შარაპოვს აუკრძალა არა მარტო საცდელი სადგურის საქმიანობაში მონაწილეობა, არამედ მის ტერიტორიაში შესვლაც, ხოლო ბჟალავას გაებუტა.

სწორედ ამ დროს საქართველოს მცენარეთა დაცვის ინსტიტუტის სამეცნიერო საბჭოში მოეწყო — მეცნიერ მუშაკთა კონკურსი, რომელიც ვადაზე ადრე უნდა გაევლო ა. ბჟალავასაც. კონკურსის წინ ნ. ქაჩიბაიამ სამეცნიერო საბჭოს საიდუმლოდ გაუგზავნა ა. ბჟალავას უარყოფითი დახასიათება, ისე, რომ არ განუხილავთ ადგილკომის სხდომაზე.

ეს მაშინ, როცა რამდენიმე დღის წინ ნ. ქაჩიბაია პარტორგანიზაციის მდივანთან და ადგილკომის თავმჯდომარესთან ერთად ხელს აწერდა მის ასეთ დახასიათებას: „...ა. ბჟალავამ, მუშაობს რა საცდელი სადგურის ქიმია-ტექნოლოგიის განყოფილების გამგედ, თავი გამოიჩინა როგორც ღრმად ერუდირებულმა სპეციალისტმა და სამეცნიერო-საკვლევი მუშაობის კარგმა ორგანიზატორმა. მან შექმნა ქიმიური ლაბორატორია და ფართო კვლევითი მუშაობა გაშალა სამამულო შელაქის ხარისხის შესწავლის საქმეში, მუშაობის შედეგები გამოქვეყნებულია რამდენიმე ნაშრომში". დახასიათებაში შემდეგ მითითებული იყო, რომ „...ის კეთილსინდისიერად ასრულებს ყველა საზოგადოებრივ დავალებას, დიდი ავტორიტეტით სარგებლობს კოლექტივში"...

რომელს დავუჯეროთ?! ის კი ფაქტია, რომ სამეცნიერო საბჭომ დაუჯერა ნ. ქაჩიბაიას უარყოფით დახასიათებას და ა. ბჟალავა კონკურსში არ გავიდა.

ამრიგად, მონდომებულ მეცნიერ მუშაკს კარი დაუკეტეს და ნაყოფიერი სამეცნიერო-საკვლევი მუშაობა შეაწყვეტინეს. მსგავსი ატმოსფერო რომ შეუქმნეს, სხვადასხვა მიზეზებით წავიდა სადგურიდან შელაქის დარგში მომუშავე ზოგიერთი სხვა სპეციალისტიც.

საცდელ სადგურს სხვა სერიოზული დარღვევებიც აქვს.

ჯერ კიდევ 1973 წელს შემოწმდა ამ საცდელი სადგურის სამეცნიერო-საკვლევი და ფინანსური საქმიანობა და შემოწმების შედეგები განიხილა საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტროს კო- [illegible]

დისციპლინის დარღვევის, ხელფასის ფონდის გადახარჯვების ფაქტებს. დიდია დებიტორული დავალიანება და საფინანსო დისციპლინის სხვა დარღვევები. ადგილი ჰქონდა აგრეთვე კაპიტალური დაბანდებისათვის გამოყოფილი სახსრების გადამალვას. დაბალ დონეზე დგას საბუღალტრო აღრიცხვა.

უყაირათობის მოწმეებად დგას სადგურში ძვირადღირებული სათბურები, მაშინ როცა აფხაზეთის სუბტროპიკულ პირობებში შეიძლება გამოყენებულ იქნას უფრო მსუბუქი და ეკონომიურად ხელსაყრელი ნაგებობანი, ბუნებრივი გათბობით, რომლითაც ესოდენ მდიდარია ეს მხარე. მაგრამ ამ მიმართულებით ჯერჯერობით არაფერი გაკეთებულა. ეს კი უეჭველად საგრძნობლად შეამცირებდა შელაქის სადედე მასალის თვითღირებულებას.

სადგურში უმოქმედოდ დგას აგრეთვე ათეულ ტონობით შელაქის გადასამუშავებელი საამქროს შენობა, რომლის აგებაზე 40 ათასი მანეთი დაიხარჯა. ამ მშენებლობის დამთავრებაზე კარგა ხანია სადგურის დირექციამ ხელი მოუწერა მშენებლებს, მაგრამ ის დღესაც დაუმთავრებელია. ასევე უმოქმედოდ დგას საზღვარგარეთის მარკის — ე. წ. „ხელოვნური კლიმატის" — მანქანა და სხვა დანადგარები, რომელთა შეძენა-დამონტაჟებაზე ათასობით მანეთი სახელმწიფო სახსრებია დახარჯული. თუმცა სიტყვა დამონტაჟება აქ პირობით ვიხმარეთ, რადგანაც ამ დანადგარმანქანას „სპეციალისტებმა" მხოლოდ ადგილი შეუცვალეს, გარედან, სადაც ღია ცის ქვეშ წლობით იდგა, შენობაში შეიტანეს, ხოლო ამუშავება ვერ შეძლეს, „საიდუმლოება" ვერ გაუგეს(?!). მწერის აკლიმატიზაციასთან დაკავშირებით სამეცნიერო კვლევისათვის კი ამ მანქანის ამუშავება აუცილებლობას წარმოადგენდა.

უყაირათობის ბევრი სხვა ფაქტის დასახელება შეიძლება. აი თუნდაც ათობით ჰექტარი ნოყიერი მიწის სავარგულები, რომლებიც სადგურის განკარგულებაშია, მაგრამ აქ წლების განმავლობაში არც არაფერს თესავენ და არც არაფერს იმკიან, ეგრეთწოდებულმა „სტრუქტურულმა ცვლილებებმა", რომელიც აქ გაატარეს, შელაქის დარგში სამუშაოები უკანა პლანზე გადასწია.

სოხუმში თავის დროზე ბევრს გაუკვირდა, თუ როგორ მოხვდა ამ სამეცნიერო დაწესებულების ხელმძღვანელად ნ. ქაჩიბაია, რომელსაც დამთავრებული არ ჰქონდა უმაღლესი სასწავლებლის სრული კურსი და არ გააჩნდა სათანადო პრაქტიკული გამოცდილება ამ დარგში.

კიდევ უფრო გასაკვირი, ის არის, რომ ქაჩიბაიამ, რომელსაც დამთავრებული არ ჰქონდა უმაღლესი სასწავლებლის სრული კურსი, შეძლო სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად დისერტაციის დაცვა საქართველოს სუბტროპიკული მეურნეობის ინსტიტუტში.

აი ასეთია ამ ამბის ისტორია, და გასაკვირი არ არის, რაც ამჟამად ხდება საცდელ სადგურში, რომელსაც ნ. ქაჩიბაია ხელმძღვანელობს. ლაქის ცრუფარიანა კი უყურადღებოდ რჩება. ინტრიგა და კონფლიქტი, რომელსაც აქ ადგილი აქვს ა. ბჟალავას და, სამწუხაროდ, ზოგიერთი სხვა მეცნიერ- [illegible]

[illegible], „კომუნისტის" საკ. კორ.

*კალათბურთი*

# ქალთა საკავშირო

თბილისში ვ. ი. ლენინის სახელობის სპორტულ დარბაზში გრძელდება პირველი ლიგის ქალთა გუნდების საკავშირო ტურნირი კალათბურთში.

საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის გუნდი მესამე მატჩში შეხვდა ნოვოსიბირსკის „დინამოს". თამაში პირველივე წუთებიდან საინტერესოდ მიმდინარეობდა. ტაიმი ქართველმა სტუდენტებმა მოიგეს — 34:32. შესვენების შემდეგ წინ იყო ხან ერთი, ხან მეორე გუნდი. მატჩის უკანასკნელ წამებში სტუმრებმა მოახერხეს გადამწყვეტი ბურთის ჩაგდება და გაიმარჯვეს ანგარიშით 66:65.

ამავე ტურში ცსკა-მ მოუგო მინსკის „გორიზონტს" — 75:50, მოსკოვის „სერპ ი მოლოტმა" („სიმ"-მა) — პენზის „სპარტაკს" — 56:53, ხოლო ტარტუს ჯსკ-ამ — ერევნის „სპარტაკს" — 75:60.

გუშინ საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის გუნდი შეხვდა „სერპ ი მოლოტს". პირველი ტაიმი სტუმრებმა მოიგეს ორი ქულის სხვაობით — 38:36, ხოლო შეხვედრა 14 ქულით — 74:60.

*ფეხბურთის ირგვლივ*

# გაიყიდა... შინ თამაშის უფლება

შვეციის ჩემპიონმა „ატვიდაბერგმა", რომელიც ევროპის ჩემპიონობის მეოთხედფინალურ მატჩში უნდა შეხვდეს „ბარსელონას" (ესპანეთი), ცოტა არ იყოს, უცნაური გადაწყვეტილება მიიღო. მან „ბარსელონას" გვარიანი გასამრჯელოს ფასად დაუთმო თავის მოედანზე თამაშის უფლება. ამრიგად, „ბარსელონასა" და „ატვიდაბერგის" ორივე მატჩი ბარსელონაში გაიმართება.

# „ფრანს-ფუტბოლის" კლასიფიკაცია

„ფრანს-ფუტბოლის" პრიზის „ოქროს ბუცის" პრეტენდენტების კლასიფიკაცია დღეისათვის ასეთია:

24 ბურთი აქვს გატანილი დანიელ პოლსტრიომს (ბკ „კოპენჰაგენი"), 23 — არგენტინელ ონისს, რომელიც საფრანგეთის კლუბ „მონაკოში" თამაშობს, 20 — ვან დერ კვილენს (ჰოლანდიის „ვინდჰოვენი"), და 19 — ამ პრიზის შარშანდელ მფლობელ იასალდეს. ეს არგენტინელი ფეხბურთელი ლისაბონის „სპორტინგში" თამაშობს.

# სპორტის ამბები

ჭიდაობა. აშშ-ის თავისუფალი სტილით მოჭიდავეთა ნაკრებმა ტურნეს მესამე მატჩი გამართა ბაქოში აზერბაიჯანის გუნდთან. ანგარიშით 8:2 გაიმარჯვეს მასპინძლებმა. ამერიკელი მოჭიდავეები 9 და 10 თებერვალს მორიგ შეხვედრებს გამართავენ ალმა-ათაში.

მაგიდის ჩოგბურთი. ინდოეთის ქალაქ კალკუტაში სტარტი აიღო მსოფლიოს 33-ე ჩემპიონატმა. საბჭოთა ვაჟთა ნაკრებმა (ს. გომოზკოვი, ს. სარხოიანი და ა. სტროკატოვი) ანგარიშით 5:2 დაამარცხა საფრანგეთის გუნდი. აღსანიშნავია, რომ ბათუმელმა ს. სარხოიანმა მოიგო სამივე შეხვედრა.

კალათბურთი. რიგის ტტტ-ს ქალთა გუნდმა ევროპის ჩემპიონთა თასის გათამაშების მეორე მეოთხედფინალურ მატჩში პრაღაში დაამარცხა ადგილობრივი „სპარტა" — 81:71.

ლენინგრადის სპარტაკელმა ქალებმა ლილიან რონკეტის თასის გათამაშების (მან თასების მფლობელთა თასი შეცვალა) საპასუხო მეოთხედფინალურ მატჩში დაამარცხეს სოფიის „ლევსკი-სპარტაკი".

ფეხბურთი. ერევნის „არარატმა" სოჭში სეზონის პირველი საერთაშორისო მატჩი გამართა კატოვიცეს (პოლონეთი) გკს-თან. ანგარიშით 3:1 გაიმარჯვეს პოლონელებმა.

□

# „ბოქსის" ფურცლებზე

პოლონურმა ჟურნალმა „ბოქსმა" დაასახელა ევროპის 10 უძლიერესი მოკრივე 1974 წლის სეზონის შედეგების გათვალისწინებით.

აი ისინიც (წონითი კატეგორიების მიხედვით): იუდინი (საბჭოთა კავშირი), ზასიპკო (საბჭოთა კავშირი), კოსენტინო (საფრანგეთი), კუზნეცოვი (საბჭოთა კავშირი), სოლომინი (საბჭოთა კავშირი), კოლევი (ბულგარეთი), კიშკა (პოლონეთი), კლიმანოვი (საბჭოთა კავშირი), რისკიევი (საბჭოთა კავშირი), პარლოვი (იუგოსლავია) და მილიჩი (იუგოსლავია).



# ფ. ჰილი ალმოჩენის [illegible]

1861 წელს ბრიტანეთის ჭადრაკის ასოციაციის IV კონგრესთან დაკავშირებით ქალაქ ბრისტოლში მოეწყო ერთ-ერთი პირველი საერთაშორისო კონკურსი, რომელმაც ღირსშესანიშნავი კვალი დატოვა საამოცანო კომპოზიციის ისტორიაში. I პრიზის მფლობელის ინგლისელი ფ. ჰილის (1828-1906) ნაწარმოებს სენსაცია მოჰყვა. ცნობილი „ინდური ამოცანის" მსგავსად მან დიდი შთაბეჭდილება მოახდინა ჭადრაკის მოყვარულებზე და დღესაც არ დაუკარგავს მიმზიდველობა.

ფ. ჰილი XIX საუკუნის გამოჩენილ პრობლემისტთა რანგს ეკუთვნის. მისი რჩეული ამოცანების უკანასკნელი კრებული სიკვდილის შემდეგ, 1908 წელს გამოსცა მისმა ვაჟიშვილმა, თვითონაც ხაჭადრაკო კომპოზიტორმა პ. ჰილიმ. საინტერესოა აღნიშნოს, რომ ამ სახელგანთქმული ამოცანის ავტორს, „საპატენტო" ბედმა არ გაუღიმა, ვინაიდან მის მიერ ნაპოვნი თემა „ბრისტოლის" სახელწოდებით შევიდა საკომპოზიციო ტერმინოლოგიაში. შეეცადეთ ამოხსნათ ეს სამსვლიანი ამოცანა. ოღონდ გახსოვდეთ, რომ პირველი სვლის პოვნას მაშინ შესძლებთ, თუ ერთბაშად ჩასწვდებით ნაწარმოების მთელ არსს.

ფ. ჰილი, 1861



შამათი 3 სვლაში

ველით თქვენს ამოხსნებს, ძვირფასო მეგობრებო.

ვ. ნეიძე.

# ვინ ამოხსნა

„კომუნისტის" 1974 წლის 8 დეკემბრის ნომერში გამოქვეყნებული ვ. სავჩენკოს სამსვლიანი ამოცანა შემდეგნაირად ამოიხსნება: 1. კa5! მb8, მ:a5, მ:d8 2. ეe8+, ლc7+, კb4+.

პირველი ამომხსნელები არიან: ნ. ბრეგვაძე (ქარელი), ა. სანაშვილი (დუშეთი), ვ. ლობჯანიძე (ამბროლაურის რ. აბარი), ა. გუბელაძე (წყალტუბოს რ. პატრიკეთი), ლ. უბილავა, კ. ჭკადუა (ორივე სოხუმი), ტ. ფოფხაძე (რუსთავი), გ. ღუღუნიშვილი (აბასთუმანი), თ. გრიგოლაშვილი, გ. კახიძე (ორივე — წყალტუბოს რ. ფარცხანაყანევი), მ. ბოჭორაძე (კასპის რ. ქვ. გომი), კ. ოსიტაშვილი (ზნაურის რ. ზნაური), ნ. ხუხუა, მ. ქემურია (ორივე—ქუთაისი), ე. ჭუმბურიძე (თერჯოლის რ. ზედა სიმონეთი), ზ. ვალიშვილი (გორი), გ. ლაცაბიძე (ცხინვალი), ჯ. მაჩაიძე (ონის რ. ირი), ტ. და ო. მამულაშვილები, თ. ბარამიძე (ყველა — თბილისი).

1974 წლის 22 დეკემბრის ნომერში გამოქვეყნებული ი. კრიხელის ოთხსვლიანი ამოცანის ამოხსნაა: 1. ლa1! კb5, კc4, კd3 2. ლb1, ლc1, ლd1.

ვაქვეყნებთ იმათ გვარებს, ვინც პირველმა გამოგზავნა სწორი ამოხსნა: ხ. ვანიშვილი (გორი), მ. მეტრეველი (გაგრის რ. ლიძავა), მ. კურტანიძე (ორჯონიკიძე), ა. გუბელაძე (წყალტუბოს რ. პატრიკეთი), ნ. გვასალია (ზუგდიდი), თ. მიქაუტიძე (ლაგოდეხის რ. ლელიანი), ა. ბაინდურაშვილი (დმანისის რ. გომარეთი), ჯ. ბეშკენაძე (ქუთაისი), ი. ჟოჟაძე (ქედის რ. უჩხითი), ა. ყიფშიძე (აგუძერა), ნ. ფილიევი (ზნაურის რ. ახალშენი), პ. თორდია, ჯ. კაცია (ორივე — ზუგდიდის რ. ზედა ეწერი), თ. სიგუა (წულუკიძე), ვ. გაჯიშვილი (აზერბაიჯანის სსრ, კახის რ. ალიბეგლო), ტ. ქობესოვი (ქარელის რ. ზღუდერი).

# სხვა გაზეთებიდან

# ქალი რინგზე

[illegible] ტონავანდამ [illegible] ნიუ-იორ[illegible] იმის, გამო, რომ მან აუკრძალეს რინგზე გამოსვლა. საჩივარში აღნიშნულია, რომ კომისიამ დაარღვია კონსტიტუცია. რის თანახმადაც ჯეკის სურვილი ჰქონდა მიეღო პროფესიონალი მოკრივის სახელი.

მართლაც, ჯეკი უკვე 12 წელია რინგზე გამოდის. ამ ხნის განმავლობაში მან 23 ბრძოლა ჩაატარა და აქედან სამი ნოკაუტით მოიგო. მისი სიმაღლეა 177 სანტიმეტრი, წონა — 78,7 კილოგრამი. ჯეკის ვექილმა განაცხადა, მოკრივე ქალი რინგზე იმიტომ გამოდის, რომ ცხოვრებისათვის საჭირო თანხა დააგროვოს. („ტრუდი").



# სიამის ტყუპები

სიამის ტყუპები კლარა და ალტაგრასია როდრიგესები შარშან დაიბადნენ ამერიკის შეერთებულ შტატებში. მაშინვე გაკეთდა რთული ოპერაცია, რომელმაც თვითეულ ორგანიზმს საშუალება მისცა დამოუკიდებლად ეარსება. ოპერაციამ წარმატებით ჩაიარა. ამჟამად პაწიები, რომლებსაც სურათზე ხედავთ, თავს ჩინებულად გრძნობენ და ნორმალურად ვითარდებიან.

# სწრაფი „ამინდი"

ძნელია შეეჯიბრო დეპეშების გადაცემის სისწრაფეში ახალ დანადგარს „ამინდს", რომელიც ჰიდრომეტსამსახურის დიკსონის მიმართულებით დაამონტაჟეს და გამოსცადეს. იგი წუთში 1500 ნიშანს გადასცემს.

საბჭოთა მეცნიერები ყოველ წელს სულ უფრო ინტენსიურად იკვლევენ არქტიკას. რთულდება სამეცნიერო დაკვირვებების პროგრამა. იზრდება ინფორმაციის ნაკადი. ახლა კუნძულ დიკსონის რადისტები დღეღამეში რამდენჯერმე მიიღებენ ცნობებს 33 სადგურიდან, რომლებიც განლაგებულია ყინულოვანი ოკეანის სანაპიროზე. შემდეგ ყველა ცნობა მოსკოვის ცენტრალურ სადგურში იგზავნება, სადაც ამინდის საერთო რუქას ადგენენ.

მალე არქტიკის ყველა რადიოგადამცემი სადგურები აღიჭურვება „ამინდის" ახალი დანადგარებით.

(„სოციალისტიჩესკაია ინდუსტრია").

*დანაშაულობათა კვალდაკვალ*

□

# მანქანების მძარცველები

ღამით სოფელ ხაბუმეში მცხოვრებ კ. ბერიას ეზოში ორი ლანდი შეიპარა. რამდენიმე წუთში „ზაპოროჟეცი" უხმაუროდ გამოაგორეს და გაძარცვეს. რამდენიმე თვის შემდეგ კვლავ ეწვივნენ სოფელ ხაბუმეს და ბ. ჩხარჩხალიას „ჟიგულს" სამი საბურავი მოხსნეს. შარშან დეკემბერში ჟ. ჩხარჩხალიას და მ. შენგელიას ავტომანქანებიდან ხუთი საბურავი მოიპარეს, გზად ნაქურდალს ს. დარსალიას „ჟიგულის" ერთი საბურავიც დაამატეს. ნადავლი წალენჯიხის ადგილობრივი მრეწვკომბინატის სატვირთო მანქანაზე დააწყვეს და გზას გაუდგნენ.

შინაგან საქმეთა ჩხოროწყუს რაიგანყოფილების მუშაკებმა ქურდების კვალს მიაგნეს. ისინი აღმოჩნდნენ ნაფიჩხოვოელები თენგიზ ფიჩხაია, აბელ გოგუა და რეზო შონია. ეს უკანასკნელი წალენჯიხის მრეწვკომბინატის ავტომანქანის მძღოლი იყო და ქურდებს ხელს უწყობდა მოპარულის შენახვასა და გასაღებაში.

ზ. მილიუტინი,
„კომუნისტის" საკ. კორ.

# ტელევიზია

## 8 თებერვალი

### პირველი პროგრამით

10.05 — ფერადი ტელევიზია — დილის ვარჯიში (გადმოცემა მოსკოვიდან), 10.20 — ახალი ამბები (გადმოცემა მოსკოვიდან), 10.30—„სწორი წრე-კითხვა" (გადმოცემა მოსკოვიდან), 11.00 — „თქვენთვის, მშობლებო!" (გადმოცემა მოსკოვიდან), 11.30 — შევისწავლოთ ქართული ენა, 12.15 — „დიდება შრომას" — ქართული სატელევიზიო და დოკუმენტური ფილმების ფესტივალი. სატელევიზიო ფილმი — „მებადურები", 12.50 — უმაღლეს სასწავლებელში შემსვლელთათვის — ლექცია მათემატიკაში, 13.35 — საქართველოს ფერადი ტელევიზიის კინოდარბაზი. „მულტპანორამა", 14.25 — „გამოჩენილი დირიჟორები" — გენადი როჟდესტვენსკი (გადმოცემა მოსკოვიდან), 15.15 — „ჯანმრთელობა" სამეცნიერო-პოპულარული პროგრამა (გადმოცემა მოსკოვიდან), 15.45 — „ახალგაზრდობა" — სატელევიზიო პროგრამა, 16.30 — საკონცერტო დარბაზებში, 17.00 — სოფლის მეურნეობის სპეციალისტის გამოცდილების ტრიბუნა, 17.30 — გადაცემა საბჭოთა არმიის მეომრებისათვის, 18.30 — ფერადი ტელევიზია — მულტიპლიკაციური ფილმი „მაუგლი" (მეხუთე სერია), 19.00 — „ლექსო არ დაიკარგები!", 19.45 — კონცერტი, 20.20 — „მოამბე" — საინფორმაციო პროგრამა, 20.50 — დიადი გამარჯვების 30 წლისთავისათვის სატელევიზიო მრავალსერიიანი მხატვრული ფილმი „გაზაფხულის ჩვიდმეტი გაელვება". (მეთორმეტე სერია), 22.00 — „ვრემია" — საინფორმაციო პროგრამა (გადმოცემა მოსკოვიდან), 22.30 — ფერადი ტელევიზია — სიმღერისადმი მიძღვნილი საბჭოთა კავშირის კომპოზიტორთა კავშირის პლენუმი, (გადმოცემა კიევიდან).

### მეორე პროგრამით

18.05 — სატელევიზიო ფილმი-სპექტაკლი „ორი კომედია", 19.05 — სატელევიზიო ფილმი, 19.35 — მხატვრული ფილმი „ნაპირზე ჩამოსვლა", 20.55 — გადაცემა „სულხან-საბა ორბელიანი" (გამეორებით).

**თბილისის „ლოკომოტივის" სტადიონი**

(ი. ჭავჭავაძის პრ., 74).

11 თებერვალი

**ფეხბურთი**



[illegible]

# რადიო

## 9 თებერვალი

### პირველი პროგრამით

06.05 — უკანასკნელი ცნობები, 09.15 — რესპუბლიკური გაზეთების მიმოხილვა, 09.30 — რადიოჟურნალი „საქართველოს პიონერი", [illegible] 10.00 [illegible] ნცაძე. კონცერტინო ჩელოსა და ორკესტრისათვის, 15.30 — „დიდები და პატარები". საუბარი „ჩვილი ბავშვის აღზრდის თავისებურებანი", 15.45 — მღერის ქალთა ვოკალური ტრიო, 16.15 — რადიოჟურნალი საბჭოთა არმიის მეომრებისათვის, 17.00 — „მსოფლიოს ერთი კვირის ამბები", 17.15 — მოსწავლეთათვის რადიოდადგმა „ამბავი ნამდვილი ადამიანისა", 18.10 — კონცერტი „თქვენი თხოვნით, მეგობრებო!", 19.35 — ქართული ხალხური მუსიკა, 20.20 — „ხუთწლედის მოწინავენი". 20.35 ა. ბელიაშვილი. „შვიდკაცა". რადიოდადგმა, 21.25 — გამოჩენილ მუსიკოს-შემსრულებელთა კონცერტი, 23.30 — მღერის ანსამბლი „დიელო", 23.55 — უკანასკნელი ცნობები.

# თეატრები

## 8 თებერვალი

შოთა რუსთაველის სახელობის სახელმწიფო აკადემიური — რომეო და ჯულიეტა; კოტე მარჯანიშვილის სახელო- [illegible]


ჩვენი მისამართი და ტელეფონები

КОМУНИСТИ. ИНДЕКС 66443